

დ. თურაღობაძის მიერ.

ციხის პირველი შთაბეჭდილება

(მოგონებათა ფურცლები)

ყველა ბავშვობა კისკისაა...
 ყველგან... სიცილი... ჯღერტული...—აი
 მისი სამკაულები...
 მუშათა მოძრაობასაც აქვს თავისი ბავშვო-
 ბა...
 პირველად უსუსურია...
 გაუბედავად... ტაბუთი მიდის წინ...
 მალე კი წვივი უმავრდება... ქაბუკდება...
 მაგრამ ეს ბავშვობა მუშათა მოძრაობისა
 ერთი რამით განირჩევა:
 იგი სხვათაგან უფრო დიდ და ყველაფერ-
 ნი არ არის...
 სისხლით იწყობა მისი განთავადი...
 მებრძოლთა ძვლებით იკირწყლება მის მიერ
 გაკვერილი პირველი ბილიკი...
 ამაში მე ჩემი ბავშვობაშივე დავრწმუნდი...
 ჯერ იყო და ადრინდელი მესმოდა სიმღერე-
 ბი თავისუფლებასზე... მებრძოლ მუშების დღე-
 ნა-წამებზე...
 მალე ერთმა ამბავმა საესვებით დაადასტურა
 განავლინი:
 ერთ დღეს ქალაქს ელვის სისწრაფით მოე-
 ფინა არა ჩვეულებრივი ამბავი:
 — გრიანოვი მოჰკლეს!.. გრიანოვი მოჰ-
 კლეს!
 — ვინ გრიანოვი?..
 — გენერალ-გუბერნატორი...
 — ვინ მოჰკლა?..
 — არსენამ... ჯორჯიაშვილ არსენამ...
 — რად მოჰკლა?..
 — იმიტომ, რომ მტარვალ იყო...
 — სისხლში ჩაშობას უპირებდა მუშათა
 მოძრაობას...
 — ვინაა არსენა ჯორჯიაშვილი?..
 — უბრალო კაცი... დატაკი მუშა...
 — რამ გააბედვინა...
 — როგორ გამოიმეტა თავი?..
 — რევოლუციონერმა ცეცხლში...
 — სიყვარულმა მუშათა კლასისადმი...
 — შურისძიების წყურვილმა...
 — დამშეული ყუმბარა ისე გააკაჯანა იმ

ადლებულისკენ, როგორც კაკაბი გაჭკრავს
 ხოლმე კამარას ლაქვარდ ცისკენ...
 ..
 ლეგენდარულ პირად გადაიქცა არსენა...
 ყველა მასზე ლაპარაკობდა...
 გზა ჯვარედინზე არსენას მამაცობის ამბავს
 გაიგონებდით...
 * * *
 ჩვენს სახლშიაც ბევრი რამ მესმოდა არსენ-
 ნის თაობაზე...
 მე ყვავს უფროსი ძმა ლევანი...
 ხელობით მჭედელი...
 არაა საჭირო მისი აღწერა...
 გარეგნულად ისეთივე იყო, როგორც სხვა
 მრავალი...
 მძიმე ხვედას ქნევსაგან წელ-მოწყვეტი-
 ლი...
 ნიათ გამოცლალი...
 მხოლოდ თვალებში უბრწყინავდა ხსიათის
 ძალა...
 ერთი დიდი რამით გაირჩეოდა სწორებისა-
 გან...
 მაშინ, როდესაც სხვები მარად სამეკიტრობ-
 ში ატარებდნენ დროს...
 როდესაც საზანდრები გახელდებოდნენ...
 ლათი-ფოთები რომ გამართავდნენ სმას შე-
 ტუელს,—მაშინ ლევანი შინ იჯდა და გონე-
 ბრივად განვითარებისთვის სეცადინებდა...
 შევამჩნიე რაღაც საიდუმლო წიგნებსაც
 ჰკითხულობდა...
 ჩვენ გვიპაავდა...
 არ გვაჩვენებდა...
 მიუხედავად ჩემი ცდისა და ცნობისმოყვა-
 რეობისა—მაინც ვერ შევსძელ მათი ხელში
 მოგდება...
 ლევანთან დაიარებოდა მისი რამდენიმე
 მეგობარი...
 ისინიც ლევანის ჯურისა იყვნენ...
 მათში უფრო გამოირჩეოდა სოსო ზეინკა-
 ლი...
 განუსაზღვრელად სანდომიანი იყო...

მებრძოლი ხსიათი ჰქონდა...
 ხშირად ლაპარაკობდნენ არსენა ჯორჯია-
 შვილზე...
 „დღევანე ნუ სჩივი, მამაც ნუ სტირი,
 მე მოვიშორე ქვეყანას კირი“...
 იწყებდა ლევანი სიმღერას ნაღვლიანად და
 აპყვიბოდა მას სოსო...
 არსენამ მოაშორა ქვეყანას კირი...
 ჩია კაცის შესახებ აღონსა კი ყოფილა...
 მე კი გმირზე სულ სხვა გვარი წარმოადგე-
 ნისა ვიყავი...
 მე ბევრსა ვკითხულობდი ზღაპრულ წიგ-
 ნებს...
 „მზის ქალი“, „შვიდი და წითელი თეთმურა-
 ნი“... თქულება ამირანზე... როსტომზე...
 ყარაიმინიანს ყველა კარი...
 მეგონა ხალხს თუ ვინმე შეებას მოჰკერის
 ისე როსტომისთანა ბუმბერაზი...
 გმირი კი, თურმე უბრალო ვინმე ყოფილა...
 გლენის ქოხში დაბადებული...
 ტყაპუ ზრანძებით შემოსილი...
 ტანჯვა-რუღუნებაში აღზრდილი...
 —
 ლევანსა და სოსოს საუბარს აშკარად ეტ-
 ყობოდა, რომ არსენა პირადად კარგა სცნო-
 ბით, მაგრამ არ ამხელდნენ...
 დედას უმჯველია ყველაფერი ეცოდინებო-
 და...
 იგი ლევანსაც და მისს ამხანაგებსაც ხში-
 რად აფრთხილებდა:
 — შეიღებო, ძალიან ნუ გამოვიდვიათ
 თავი...
 მეტის მეტად ნუ ჰყვიბობათ...
 თქვენ ჯერ მაინც ახალგაზრდები ხართ...
 ლიბრი გაფარით თვალსა...
 ხალხს არ იცნობთ...
 კულმებსაც კი მზევით თვალ-ყური აქვთ
 გამოსხმული...
 არ დაიღუპოთ თავი...
 ყველას ნუ ენდობით...
 არ დაგაჭკრონ...

— რაღა, დედილო, რად უნდა დაიჭირონი...
ვინ ერჩის ლევანსა, სოსოს და მათს ამხანა-
გებს?... ქურდები... ჯიბეები... ავაზაკებო
ხომ არ არიან... ვის რა ხელი აქვს ასეთს
კეთილებთან?...
დედა მხოლოდ ოხვრით მიხედავოდა...
ერიდებოდა ჩემთან ასეთს რამეზე საუ-
ბარს...

სოსო კი მეუბნებოდა:
— მოიცა, პატარა მეგობარო, მოიცა!.. წა-
მოიხრდები და მაშინ გაიგებ ყველაფერს...
მე მწყენდა, რომ ისევე პატარადა მთვლი-
დნენ...

ყველა საშუალებას მივმართავდი, რათა და-
მეგვრებინა, რომ მოხრდილი ვიყავი... ხშირად
ისეთი იშვიათი დარბაისლობა გამომიჩენია,
რომ მოპარმავებულ კაცსაც კი გაუჭირდებო-
და ასეთნაირად თავის დაქერა...
შედეგს კი ჩემდა საიმეფობროდ სრულიად
წინააღმდეგ ვლწვედი... სწორედ ჩემი მო-
ქარბებულნი, ნაძალადევი დარბაისლობა ამ-
ელაგებდა ჩემს ბავშვობას...

* *

შორსმჭვრეტელი იყო დედა...
ტყუილად არა ჰმინებია...
ერთხელ ყრბი ყორნის ფრაზებში თე-
მოფრატუნდა ჩვენს ოთახში ელდა... ჩამფუ-
ფქავი ელდა...

„სოსო დაიჭირესო“— გეთხრა ელცამ და
დედასა და ლევანს ნაცრის ფერი დაედოთ...
დედამ მაინც სარისტი დაიჭირა...
არ დაბნეულა:

— აბა, შვილო, ბევრი ფიჭრის დრო არ
არის... მალე მოსპე ყველაფერი რაც საჭი-
როა... შესაძლებელია შენც მოგიკითხონ...

ლევანმა მცის სადღაც რაღაც ქაღალდები
მოსძებნა... უნდადა სხვაგან წავიღო... ენანე-
ზოდა დაწვა... დედამ არ დაანება... შეიძლება
უკვე გიყარალებენ და ქუჩაშივე ხელში ჩაუ-
ვარდები დასამტკიცებელი საბუთებითო...
დასთანხმდა ლევანი...

შეუკეთა ცეცხლში...
მე უცბად ხელი გავიწოდე, თითქოს გადა-
ვარჩნდი...

გვიანდა იყო...
მოედო ალი...
აპრიალდა...

იწორდა ქაღალდები, რომელიც ვინ იცის
რა სიყვარულით, სიძინელით და სიფრთხილით
იყო დაბეჭდილი...

იწოდნენ ისინი და მე არ ვიცოდი, რა ში-
ნაარსისა იყვნენ...

რაზე მეტყველებდნენ...
იბუგებოდა ცეცხლში რაღაც დიდი, დიდი
საიდუმლოება, რისი გულისთვისაც აუარებელ
მუშებს იჭერდნენ... ასახლებდნენ... ახრობ-
დნენ...

* *

დაუწყეთ ლოდინი დაუპატიებელ სტუმ-
რებს... ჟანდარმებს...
ლევანი შინ აღარ იძინებდა...

ახ, რა ძნელია მტრის მოლოდინი, როცა
ულონო ხარ. უსურვი... ვერ ეწინააღმდეგები...
იცი მოვე უტიფარი, უღმობელი მტერი და
შენსავე სახლში დაგიწყებს დაცინვას...
ყველაფერს ამოატრიალებს...
აგაფორიაქებს...

შენ კი ბიბი უნდა დაიმუწო და გულში
ჩაიკლა მოწოლილი აღმოფეთების ხორხოშე-
ლა...

ერთ ღამეს, როცა ჭარი კუდიანივით ღმუ-
და,— გვეწვიენენ ის „სანუკვარი“ სტუმრები...
დედა ვერხვის ფოთლოვით ათროლდა...
არც კი აცალეს ლოგინიდან წამოდგომა და
ტანისამოსის ჩაცმა,— ისე შემოგურგურდნენ...
ყველაფერი გასინჯეს...
ბევრი იბუზუნუნეს, რომ ხელში არა მოჰხე-
დათ რა...

ლევანზე ხომ კბილებს აკრაქუნებდნენ...
დარწმუნებული ვარ, ის რომ ხელში ჩავარდ-
ნილათ, ისეთს ოქმს შეუწყენებდნენ, რომ ციმ-
ბირი აქეთ დარჩებოდა...

გაუხუნდათ... გაუხუნდათ ლილახანა...
ველარ მიიღებენ ჯილდოს...
ყინწ-მოწყვეტილი წავიდნენ...

მეორე დღეს შევინაშნეთ, რომ ზოგს საპოვნი
მოეპარა, ზოგს კოვზი... ზოგს რა და ზოგს
რა...

ასე იოლად ჩაიარა იმ ამბავმა...
გადარჩა ლევანი...
მალე მთლად მიგვიფიქვს და ჩვენ განვა-
გრძეთ ძველებური ცხოვრება...

* *

მოსიყვარულე იყო დედაჩემის გული...
როგორც ბუნება მდიდარია და უზოგველი...
არაოდეს გამოიღვევა სიუხვე...
ყოველს გაზაფხულს, ახალ-ახალი ყვავილებს
ააღლანებს...

ახალ ჩიორებს ააქიკიკებებს...
ისევე უღვებ და უხვი იყო დედას სიყვა-
რული...

ჩვენ ხომ თავს გვევლებოდა და გვენაცვლე-
ბოდა...

ახლა სოსო გაუხდა საფარეზო...
ისე სახლში კერძს არ მოვებარავდით, რომ
დედას არ მოეჩივლა:

ყელზე მადგება ლუკმა... ვინ იცის, სოსოს
ციხეში ახლა ცა უწითლდება სიმშლისგა-
ნაო...

გადასწყვიტა მისი ნახეა...
მთელ კვირას ყარიითიანობდა...
წვითა და დავით ნაშოგნ გროშებს ზო-
გავდა...

შაბათს კარგა მოიგარჯიანა...
იყიდა სანოვაგე... ხილი... თამბაქო... რამ-
დენიმე საკითხავი წიგნაკი და კვირას გავე-
გზავრეთ ციხისაკენ...

* *

უახლოვდებოდით მეტებს და მღელვარება
მიპყრობდა...

წინედ შორიდან მქონდა დანახული ის
ციხე...

მაშინ, როგორც მეტად უსუსურს, ყურად-
ღება არ მიმიტყევია...
ახლა სულ სხვა გარემოება იყო...
მე უკვე იმ ასაკში ვიყავი, როცა ბუნება
მეტად შთამბეჭდავია...
ყველაფერს ენაშურება...
არის ერთგვარი ყვავილი...
უკადრისას ენახიან...

ისეთი მგძნობიარება, რომ ცაზე სპეტაკ
ნისლების მოძრაობასაც კი ტყობილობს...
ქრეოლას იწყებს... შეიმკუშება...
გადაწყენდს... მოშინდაკდება ცა და უკად-
რისაც ისევე გადიშლება... ლაღანებს...

ასეთ ყვავილისავით მგძნობიარება ბავშვო-
ბიდან ქაბუკობაში გადასასვლელი ასაკი...
ჩემი გამახვილებული ბუნებაც უკადრისასა-
ვით ყველაფერს ენაშურებოდა...

* *

შევყვევით მეტების აღმართს,
შევედრე ციხეს...
მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩემი ჯერ ისევე მოუქნელი ტვინი ამუშავ-
და...
წარმოსახვამ ფრთა გაშალა...
მცის შევთხზე ზღაპარი...
არა... ზღაპარი კი არა, მხოლოდ დასაწყისი
ზღაპრისა...

ის ციხე მეჩვენა ვეშაპად, რომელსაც აქვს
უანგარიზო თვლები...
უთვალავი ლაშები...
როცა ამ ვეშაპს სძინებია, ვიღაცა მიჰპარ-
ვია, გავარგარებულ წისქვილის გელაზებით
თვლები ამოუწყვია...

სწორედ ისე როგორც მოიქცა მეგრულ
ზღაპარში ოჩო-კოჩი...
განარებულა, გამაგინებულა ვეშაპი...
სიმწროსგან ბდღვინვა მოურთავს...
გაფრთხილები უნთქავს ის სიცოცხლეები,
რომელიც ჩაუთვარდება...

არ იცის განკითხვა დამნაშავეისა თუ უდა-
ნაშაულოსისა...
ის შავი ლაქები, რომელიც ციხის გასწვრი-
ვა გაყოლებული და ხალხს სარკმლები ჰგო-
ნია.—ნამდვილად ვეშაპის ამომწყვარი თვლე-
ბი...

იმითვე აკანკალებს იგი გამველ-გამომე-
ლემებს...
ესაა მხოლოდ დასაწყისი იმ ზღაპრისა,
რომელიც შევთხზე მაშინ, როდესაც შეუდგეთ
მეტების აღმართს...

ეს ზღაპარი განვგარძე შემდეგ. როცა საკ-
მაოდ წამოვიზარდე და ცარიხმის ერთგულმა
ცერებრებმა (აფთორებმა) მეც გადადმისროლეს
იმ ვეშაპის დაღრენილ ლაშებში...

* *

ციხის კარებთან უჩვეული ჩოჩქოლი იყო...
მხეცებივით დაძრწოდნენ მეციხოვნენი...
ყველას, ვინც ციხის ახლოს გაიჭაპანებდა
ქისტის კვირით ერეკებოდნენ...

ჩვენ არ გვიუცხოვნიდა ეს მუჯღუფუნენი...
იგი ჩვეულებრივი „მამაშვილური“ შეალტრ-
სება იყო მათგან...

* *

ციხის კარებთან უჩვეული ჩოჩქოლი იყო...
მხეცებივით დაძრწოდნენ მეციხოვნენი...
ყველას, ვინც ციხის ახლოს გაიჭაპანებდა
ქისტის კვირით ერეკებოდნენ...

ჩვენ არ გვიუცხოვნიდა ეს მუჯღუფუნენი...
იგი ჩვეულებრივი „მამაშვილური“ შეალტრ-
სება იყო მათგან...

* *

ციხის კარებთან უჩვეული ჩოჩქოლი იყო...
მხეცებივით დაძრწოდნენ მეციხოვნენი...
ყველას, ვინც ციხის ახლოს გაიჭაპანებდა
ქისტის კვირით ერეკებოდნენ...

ჩვენ არ გვიუცხოვნიდა ეს მუჯღუფუნენი...
იგი ჩვეულებრივი „მამაშვილური“ შეალტრ-
სება იყო მათგან...

* *

ციხის კარებთან უჩვეული ჩოჩქოლი იყო...
მხეცებივით დაძრწოდნენ მეციხოვნენი...
ყველას, ვინც ციხის ახლოს გაიჭაპანებდა
ქისტის კვირით ერეკებოდნენ...

ჩვენ არ გვიუცხოვნიდა ეს მუჯღუფუნენი...
იგი ჩვეულებრივი „მამაშვილური“ შეალტრ-
სება იყო მათგან...

* *

ციხის კარებთან უჩვეული ჩოჩქოლი იყო...
მხეცებივით დაძრწოდნენ მეციხოვნენი...
ყველას, ვინც ციხის ახლოს გაიჭაპანებდა
ქისტის კვირით ერეკებოდნენ...

ჩვენ არ გვიუცხოვნიდა ეს მუჯღუფუნენი...
იგი ჩვეულებრივი „მამაშვილური“ შეალტრ-
სება იყო მათგან...

* *

ციხის კარებთან უჩვეული ჩოჩქოლი იყო...
მხეცებივით დაძრწოდნენ მეციხოვნენი...
ყველას, ვინც ციხის ახლოს გაიჭაპანებდა
ქისტის კვირით ერეკებოდნენ...

გაგვიკვირდა მხოლოდ ის, რომ ტუსაღებთან მიმსვლელთა მიღების დღე იყო და აღარც კი აძლევდნენ მოყვასთა ნახვის ნებას..

რა მარცხენა ფეხზე ამდგარან?... რას დაშამათებულან?... საღლაღ გავისმა წივილი... განწირული წივილი... იგი ქვითქვითად გადაიქცა... ეს ვიღაცა დედაკაცი იყო... თმები გაეშალა... ზუფუწებს იბღღენიდა... ღმუროდა...

ასე ღმუილი შეუძლიან მხოლოდ ძროხას რომელსაც ყელში გამოუსომენ ალესილ დანას...

— ჩემო შვილო, რა გიყვებს?... როგორ გამოგწირეს სიცოცხლე... ხომეცით ჩემი შვილი... ჩემი შვილი მომეცით ჯალათებო... მტარვალებო... დაესინენ ამ საცოდავ დედაკაცს პოლიციელები, რომ იქაურობიდან მოეშორებინათ... ძვრა ვერ უყვეს... ძალით რომ ვერ გააწყვეს რა, სიტყვიერ მუჭარას მიმართს:

— გასწი, წაეთრიე აქედან, თორემ სარდაფში გამოგამწყვდევთ... — ვის აზინებთ, ქოფაკებო?... დამიპირეთ... დამაპატრირეთ... მით უკეთესი... შევალ და დავკოცნი იმ ადგილს, რომელსაც ჩემმა არსენმა უკანასკნელად მოავლო თვალი...

შვილო არსენ, დედაკვდარო, რატომ მეტაბრად გამოასალმე წუთისუფელს. ბარემ ამათთვისაც გესროლა ყუმბარა... ყველა გაგვეუქმნა და გულის ბუხარი ამოვიყარა... როგორ ჩაუფარდი შვილო ხელში?... შენ ხომ ყოჩალი იყავი... ამ დაბდურებმა როგორ მოგიმწყვდიეს?...

გამაგიჟებელი წუთები იყო... ამ დროს ყველაფერი მერიშნა... არსენა ჯორჯიაშვილი ჩამოეხრჩოთ...

ტუსაღებს ეს გაეგოთ თუ არა, ერთი ამბავი აეტებათ...

დამტყვიათ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდნოდით... სიმშლიც გამოეცხადებინათ...

ნიშნად გლოვისა—აღარც მწახველებთან გამოდიოდნენ...

ძალიან არ შეწუხებულა ციხის ბღმინისტრაცია...

ხალისით ერეკებოდნენ სანახავად მოსულებს...

არავითარი სვინდისი ქეჯნა არ იხატებოდა არავის სახეზე...

პირიქით, უფრო მოჰმატოდით სიმკაცრე ღიარდ სახეზე...

— აი გიდი შა, როგორ გაგვიღლები არიან...

— ეტყობა კარგ კუნკულას მოეღიან უფროსებისაგან... იმიტომ გამოეღვიათ თავი...— სიტყვა ვიღაცამ...

— მაგ სულით კუზიანებს, რისი იმედი აქვთ, რომ ასე მხეტლრად იქცევიან...

— მომავალზე მინიკ არა ჰფიქრობენ?... ერთხელაც ხომ არის ჩამოერეკებათ განკითხვის მეთორმეტე საათის ზარი...

— იმდენი ტვინი რომ თავში უტყაოდეთ, ხომ ამ სანახურში არც შევიდოდნენ...—

აქეთ-იქიდან გაისმოდა ასეთი დაცინვა ტუსაღების პატრონებისა და ბრუნდებოდნენ უკან, თუმცა გული აქა რჩებოდათ და არც ფეხებში მისდევდათ, რადგან ვერ ეღიარებდნენ თავისი ნების ნახვას...

(დასასრული იქნება)

საჩილი გეგობრებს

დღეს მოგონებამ შეარხია ჩემი წარსული და განახსენდა ვაფრენილი დრო და წუთები, დარდილია გრძობა ს: ხარულით შემოგასრული, როს განშორებამ ჩემს სიყვარულს შეახსნა ფრთები. მეც თქვენთან ერთად მახარებდა შრომის აკორდი. დინამობთან მძლავრ ღვედებით გადახარატული, ქარხნის ხმაური, დამაგრული მელავე ნაკორდი და მუშის სიტყვა, ხმა მტკიცე და ჰმა გამართული. გზდავდით ერთად თუ ვით სდულდა შრომა რკინებთან, როდესაც ძაობას ვიფიცებდით გამტყდარ ღამეში, ველოდით,—ცაზე მზე სხივებს რომ გადააქიდებდა ქარხნის საყვირი მოგვემინა ნანატრ წამებში... დღეს კი ჩემს სიტყვას გრძობა სდევნის ნამეწყურაღდ და თვალითა სიღრმეს ენატება სხვა სურათები, შევიხმატებოლე გადაშლილი სოფლის ფერადი ქალაქის ცეცხლით ჯერ დღემდესაც გაუნათებო. ეხლაც მის სახეს არ შორდება თვისი შეგნება ჩემს უცხო სულსაც კიდევ ატკბობს, კიდევ ახარებს და თქვენს სიშორით როცა დარდი მომეფერება ფიქრი ფარული დალილ სუნთქვით მარტო მატარებს... მაგრამ მოწყენას გამიქარებებს წყლები მჩქეფარე როს ყაბალახი ვადენსხება ქალურ ტალღებით, როს ნაპირები მკროვე ჯებირებს შემოიფარებს და ბედი უნდო დამარცხებით დითალხებმა... იგიწყებ ყველას, როს უბრალოთ ღობეს ვაპყვები და ფერდობები თვალს ოქროსფრათ ვადეფინებო როს გოგოები ჭრელფეროვან ხალხბანდებში მზეს ვაუბრბიან და აწყობენ კონებს ზვინებათ... ისე უბრალოდ იცქირება გლეხი ურმიდან დამწვარ ხელებით რომ ალაგებს ნაბჯებს კალოზე, თითქოს მის გულში ერთ თხერასაც არ გაუღლია, თითქოს თავთავი ძვირფასია მთელ სამყაროზე; — „ხიმი ტილო“ გადასძახებს უცბათ შავ ხარებს ნიკორა შტბლს რომ უხატავენ კაკლის თვალბებო, დარტყმული სახრე თავდახრილგან თითქოს ახარებს და პაჭა ურმებს მეტ ხალისით მიაქანებენ... საღამოს ბინდი სოფლისაკენ ნახირს აკზავნის, და ფეხშიშველი ბავშვთ სახრეს მოათამაშებს მისში დალილი სუნთქვა ისმის და ხმა ჩამშრალი ღილინი ნელი ტუჩებს ოდნავ გაულამაზებს... დღის ვანათება ტყის ჩრდილოში ვაარონია და საღამო კი შეალოა „წვრილ-ფეხის“ მოვლას, მუცქერი მარტო, უცქერი და ასე მგონია რომ სოფლის ბავშვმა არასოდეს არ იცის მოლღა— მაგრამ დაბინდდა... ვადიფარა ირგვლილ სიშავე, სოფელი მორცხვად იცქირება მკრთალ სანათებით, პატარა მწყემსი ძილისაგან თვალს ძლივს იკავებს მის დალილ სახეს დღის კოცნაც არ ემატება... ასე დღეები მშორდებიან აფერადებით და მახალისებს შრომა ხალხის დაფოლაღი, ასეთ ყოფაში გზას პოულობს გულის ნადები, რადგან ოცნებას და ჩემს მოზანს არ შლის არავინ... ძვირფასო ჩემო მეგობრებო, ძლიერ ძნელია ეს განშორება და სიშორე თქვენი აზრების, მაგრამ მოწყენს მალე მეგობრებათ შემოხვდებიან ერთი მეთორეს ქალაქის და სოფლის მაყრები...

ე. პოდუმორცვინიცა.

უ ა ვ ი წ ე ლ ი წ ა ლ ი

(მოთხრობა *)

XII. უბედურების მოლოდინში.

კვირა საღამო იყო. მზე ჩადიოდა, ზარმა-კიდ უახლოვდებოდა დასავლეთის ტყიან გორაკს.

მოუხედავად კვირა დღისა, მიხუცი პავლე მთელი დღე საქმობდა, ფუსფუსებდა და მხოლოდ ახლა მოისვენა. იჯდა აივანზე და შორს სივრცეს გასტკეროდა, თან თუთუნს იწეოდა წყნარად.

ცქრილა ნინო, როგორც ყოველთვის, ახლაც ისე ცქრილებდა, მდგროდა და მოუსვენრად შედიოდა-გამოდებოდა ოთახში; ხან ძირს ჩადიოდა და ისევ ამოდებოდა, ხან საქონელს გამოეხმებოდა.

ქეთევანი კი ჩვეულებრივ გაფითრებული იჯდა პავლეს პირდაპირ და ბავშვს ძუძუს აწოვებდა.

სწორედ ამ დროს ამოვიდა პავლეს მეზობელი კვირიკა და მიესალმა იქ მყოფთ.

— ქალო, შენ კიდევ დალონებული ხარ?— ჰკითხა კვირიკამ ქეთევანს.

— რა გქნა, შენი ჭირები, გული გულის ადგილას არ არის, ყოველ წანს რაცღა უხედურებას მოველი, და რაღა არ ვიყო დალონებული!.. ეს ძუძუ ცალკე გამიშრა და ბავშვი სიმშლით მიკვდება..

— ეგ რა კია ბავშვი გყოლია!— უთხრა კვირიკამ და ბავშვს მიუღწერა:— მამაც კია მყოლებია..

— კია იყო, კია მოგეცეს, მარა სადაა, არ ვიცი, ერთი თვალით ვნახავდე მაინც!..

— რა ჰქვიათ ამ ბავშვს?— იკითხა კვირიკამ.

— ლაზარე..

— წავიდეთ, ქალო, ჩვენსას, შენ თუ ძუძუ არ გაქვს და ბავშვი მშვიტი გყავს, სამაგიეროდ ჩენს რძალს იმდენი რძე აქვს, რომ ძუძუში არ ეტევა, წავიდეთ,— უთხრა გულკეთილმა კვირიკემ და ორივენი გაემართნენ მის სახლისკენ.

რამდენიმე წუთის შემდეგ პატარა ლაზარე ხარბად სწოვდა კვირიკას რძლის სახეე ძუძუს.

— მოდი, ქალო, მაღ-მაღე მოდი, სიმშლით ნუ ჰქვავ ბავშვს; რძე ბევრი მაქვს, მაწუხებს კიდევ!— უთხრა კვირიკას რძალმა, როცა ქეთევანი შინ ბრუნდებოდა.

— კეთილი ხალხი ბევრია ჩვენს იმერეთში, ზოგი ბინას მოგცემს, ზოგი ბავშვს ძუძუს მოგწოვებს და იოლას გამოხვალ, მარა ის შეჩვენებულები თუ გაჩნდნენ აქანე, მაშინ რაღას იზამ!— გაიფიქრა ქეთევანმა.

როდესაც მან სახლს მიადგა და ოღას კი მხეწ შესდგა ფეხი, იგი უცებ გაშეშდა ერთი ელავას. სწენად იქცა..

ერთი წამის შემდეგ კი საშინელმა გულის

გამგვირავმა კვილიმა გააპო ჰაერი და ქეთევანმა იქვე ჩაიჩოჭა.

XIII. დედის ანდერძი.

— რა იყო, ქალო, რა დაგემართა?— ჰკითხავდა პავლე ქეთევანს, რომელიც ჯერ გონზე არ მოსულიყო.

— რა მოხდა ნეტავი, რომ შეაშინა?— კითხულობდა არა ნაკლებ შეშინებული ნინო.

— მოჩია!— სთქვა ქეთევანმა და ხელი გაიშვირა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც ოღნავ მოისმოდა რაღაც გაურკვეველი ხმაურობა.

ნინო და პავლე სმენად იქცნენ.

— მგლებია თუ?— იკითხა ნინომ.

— რა დროს მგლებია ამ შუადღისას, რას სულელობ!— შეუტია პავლემ.

— მგლებია, დიახ, მგლებია... ორფეხა მგლებია...— წაიბუტბუტა ქეთევანმა.

გაშტერებული პავლე ხან ქეთევანს აჩერებოდა, ხან გზისკენ იხედებოდა და ვერაფერი გაეგო.

— არ მეტყვი, ქალო, რა ნახე და რამ შეგაშინა?— ჰკითხა პავლემ.

— რა ვნახე, მამე, და სიკვდილი ვნახე, ჩემი სიკვდილი!— წამოიძახა ქეთევანმა და ცხარე ცრემლი გადმოაფრქვია.

— ლმერთმანი, არაფერი მესმის,— სთქვა პავლემ და სოფელში მომავალ გზას დაუწყო ცქერა, რომელიც დიდ მანძილზე მოსჩანდა.

ამ გზას სოფელი ქედანი თავზე დაჰყურებდა. იგი მიმართებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, იკარგებოდა ორ გორაკს შუა, სამი-ოთხი ვერსის სიშორეზე ხელ-ახლად ჩნდებოდა და ბოლოს სრულიად იკარგებოდა თვალთაგან.

ამასობაში სხვა სოფელელთაც მოიყარეს თავი პავლეს სახლთან და ვერ გაეგოთ, რა ხმაურობაა. ბოლოს ისევ ქეთევანმა გააგებინა, რაშიც იყო საქმე.

— ყაზახები მღერაინ!— სთქვა მან და ცრემლებს უმატა.

ყაზახების ხსენებაზე ყველას ფერი ეცვალა. წუთიც და ორ გორაკს შუადან გამოჩნდა შავი ღრუბელი, რომელიც აუჩქარებლად სოფელს უახლოვდებოდა. ახლა კი აშკარად ისმოდა რუსული სიმღერა..

ყაზახების დიდი რაზმი მოდიოდა სოფლის დასარბევად, გასანადგურებლად.

ქედანიელები პანიკამ მოიცვა.

უეცეკაციოდ დარჩენილ ქალების წვილ-კივილი ზეცას უწევდა.

დაუძლურებული მოხუცი ცისკენ ხელებ-აპკრობილნი მხურვალედ შესთხოვდნენ ღმერთს შეკლას და ხსნას..

— მშვიდობით, ძვირფასო მამე, დიახ,—

მხურვალედ ეთხოვებოდა ქეთევანი პავლეს და ნინოს.

— მერე, სად გინდა წახვიდე?— ჰკითხა პავლემ.

— ქე ვოცა გზა, სადაც უნდა წავიდე, მხოლოდ ეს ბაღანა შემიწახნა!— უთხრა ქეთევანმა და მაგრად ჩაიკრა გულში საყვარელი ბავშვი.

— ლაზარე! ლაზარე! ჩემო ბიჭუკავ! გაიზარდე დიდი, მძლავრი ვაჟაკი! აისხი იარაღი, შეებრძოლე მტერს, დაამარცხე იგი, გადაუხადე სამაგიეროდ დედაშენის, შენი ქვეყნის აწიოკებისათვის. გაუშწარე მას სიცოცხლე, გინც ჩვენ გავგიშწარა სიცოცხლე, გინც ჩვენ დღე გავგიშწავა, გინც გაღაწევა ჩვენი ნაამბავი, ჩვენი სოფელი!.. მშვიდობით, ბიჭუკავ! განსოვდეს, რასაც განადგურებ!— უთხრა ქეთევანმა ძუძუმწოვარა ლაზარეს, კვლავ გადაჰკოცნა და მარად ჩაიხრბინა კიბეზე.

— სად მიხვალ, ქალო?— მისძახა აივნიდან პავლემ, მას ვერ გაეგო, თუ სად მიდის:— მითხარი, რომ ვეცოდე, სად იქნები!..

პავლეს დაავიწყდა ქეთევანის სიტყვა— ერთი ყაზახის გამოჩენისათანავე მდინარეში დავიხრბობო..

ქეთევანს უკან არ მოუხედინა. ის შურდულივით გაქანდა სოფლის მეორე მხარეს, სადაც მოჩნდა გაშეშებული მდინარე.

— თავი თუ უნდა დაიხრჩოს!— წამოძახა ნინომ, რომელიც აივნიდან უშხერდა სწრაფი ნაბიჯით მიმავალ ქეთევანს.

ამის გავიგებთ პავლეს დაავიწყდა თავისი მოხუცებულიება, საჩქაროდ ჩაიხრბინა კიბეზე და სირბილით გამოეკვდა ქეთევანს. მას მიჰყვა ნინოც.

— მოიცა, ქეთევან, მოიცა!— მისძახოდა პავლე.

ქეთევანი უკვე მიადგა მდინარის პირზე ნაბრალს.

პავლე წამოიწვია, ხელი სტაცა და ქეთევანის მხრებზე წამოსხმული შალი შერჩა ხელში. საბრალო ქეთევანი კი მდინარის აქაფებულმა ზვირთებმა ჩაიხუტეს..

XIV. სტუმარი ბრიკაძე!

ჯერ მზე მთლად არ ჩასულიყო, მისი სხივები ცელქად ეთამაშებოდნენ ხის წვეროებს და მაღალ გორაკებს, როდესაც სოფელში შემოვიდა ყაზახთა ძლიერი რაზმი.

მოსვლისათანავე თოფები დაცალეს და ისედაც შეშინებული ქალები და ბავშვები უფრო შეაშინეს. ყველა თავის ოღაში ჩაიკეტა, გულის ფინკვალით ელოდა რაღაცას..

ყაზახები პირველ ოღასთან შეჩერდნენ. ეს იყო პავლეს ოღა. ნინო ტახტის ქვეშ დამალა და თითონ აივანზე გამოვიდა.

— ბებერო ეშააკო, ეს ვისი სახლია?— ჰკითხა ერთმა ყაზახმა.

*) დასასრული. იხ. „ჩირადანი“ № 10, 11—12.

— ჩემია, — მიუგო პავლიამ.
 — სტუმრები არ გინდა?
 — რატომ არა, — ნაძალადევი ღიმილით ეპასუხა პავლემ, — სტუმარი ღვთისაა.
 რამდენიმე ყაზახი ავიდა მაღლა, შევიდნენ ოღაში და ათვალღირებდნენ იქაურობას.
 ერთი მათგანი უცებ მიაჩერდა კედელზე ჩამოკიდებულ ყმაწვილი კაცის გადიდებულ ფოტოგრაფიულ სურათს.
 — სტეფანე ბრიკაძე! — წამოძახა მან, ჩამოგლიჯა სურათი კედლიდან და გარედ გამოარბენინა.
 — ბატონებო, სტეფანე ბრიკაძე! — გაიმეორა ყაზახმა: — იმის სული ჩვენს ხელშია აწია.. ამ რაზმში იყვნენ ის ყაზახებიც, რომელნიც კოწიამ მოატყუა.
 — რას ამბობს, ვინ ბრიკაძე! — სთქვა თავისთვის პავლემ და ვერაფერი გაეგო.
 — ეს ვინ არის? — ჰკითხეს პავლეს.
 — ჩემი შვილია...
 — სად არის?
 — თბილისშია სამუშაოდ წასული...
 — რადა სტყუი! — შეუტია ყაზახმა და მათ-რახი ვალუტყლოშუნა.
 — კაცო, რადა მცემთ, რა ღვაგიშავით, მე-კითხებით სად არისო, და მეც პასუხს ვაძლევთ, მაშ რა გიყოთ? — უთხრა პავლემ.
 — სად არის შენი შვილი?
 — აქი გითხარო, თბილისშია-მეთქი...
 — აი თბილისი! — შესძახა ყაზახმა და მათ-რახი დაუშინა.
 პავლეს ზურგი აეწვა, მაგრამ მიანიც შეუ-ხრელად იდგა თავის შეურაცხველი წინ და ვერ გაეგო, თუ რატომ არ სჯერა ყაზახს მისი სიტყვა...

XV. პავლეს სიძვდილი.

ტახტის ქვეშ დამალულს ნინოს ესმოდა მათრახის ზაპა-ზუპი მის მამის ზურგზე, მაგრამ გამოჩენა ვერ გაებედა და ჩუბად იმდულ-რებოდა.
 პავლეს გაუტეხაობით მოთმინება-დაკარ-გულმა ყაზახებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ, რომ გამოეტეხათ აშკარად სიცოცხლის მოქმე-ლი მოხუცი.
 — არც კი გრცხვენინ, მაგ დროული კაცი სიცოცხლეს ლაპარაკობს! — უთხრა გულმოსულს ყაზახმა, ძალზე ყვირთელი ფერისამ.
 — მე მართალს ვამბობ, მაგრამ თქვენ რომ არ გჯერათ, რა ჩემი ბრალია!..
 — შენსას არ იშლი?! — დაუღრიალა ყვი-რელმა და ამხანაგებს მიჰმართა:
 — ბატონებო, ეს ზებერი ეშმაკი კიდევ გამ-ნაგრობს სიცოცხლეს!.. ერთი მათრახი ამას არ ჰყოფის, ათი-თხუთმეტე უნდა ერთად დაეუ-შინოთ და მაშინ ვატყუებმა!..
 ათამდე ყაზახი მიეგვია და სეტყვასავით დაუშინეს მათრახები.
 პავლე ჯირკითხვით მგრა იდგა. გახეტქილ თავიდან სისხლი თქრილით ჩამოსდიოდა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

სტეფანე ყაზახები და თან ეუბნებოდნენ:
 — სთქვი, სად არის შენი შვილი?
 — აქა ვარ! — მიიხმა უცებ ყაზახებს უკა-ნიდან და მათ წინ წამოდგა ახალგაზრდა, ცოცხალი გამომეტყუელების ყმაწვილი კაცი.
 პავლე ცნობამიხილი დაეცა ძირს.
 — სტეფანე ბრიკაძე გამორჩენი! — დაძახა ჩვენმა უკვე ნაცნობმა ჩოფურა ყაზახმა და წინ გამოეჭიბა.
 — ბატონო სტეფანე ბრიკაძე, როგორ ხარ? — დაცინვით ჰკითხა მან.
 — მე არც სტეფანე ვარ, არც ბრიკაძე, მე ვარ კოწია ცეცხლიძე! — მიუგო მან და ისეთი თვალბრუნებით მიაჩერდა, თითქო ჩაყლაპას უბი-რებსო.
 — ჩვენი მოტყუებისათვის იცი, რა მოგე-ლის შენ?
 — რაც უნდა მომელოდეს, ჩემთვის სულ ერთია; ვიცი, რომ სიკვდილი მომელის!..
 — მერე როგორი სიკვდილი!
 — როგორიც უნდა იყოს, მე ფერს ვერ მა-ცვლევინებ შავითი.. სიკვდილისთვის ბევრჯერ მიუტრებიდა თვალბრუნებით, ხევი სიკვდილი მინა-ხავს, მაგრამ მისი არ შემშინებია და არც ახლა შემშინაინ..
 — აიყარე იარაღი შენი ხელით, აწი და-მარცხებული ხარ! — დაცინვით უთხრა ჩოფუ-რამ.
 — დამარცხებული კი არა, გამარჯვებული ვარ! — შესძახა კოწიამ: — მე ერთი ვარ და თქვენ ათასი! დიდი გამარჯვებაა თქვენმა შუგმ, მე და მამაჩემს თუ მოგვერეთი!..
 — მაშ, რაკი შენი ხელით არ გინდა იარა-ღის აყრა, მე აყარა, — უთხრა ჩოფურამ და ხე-ლი წაატანა.
 ამავე დროს ხუთი-ექვსი ყაზახი შემოეხვია კოწიას და იარაღი აჭარეს.
 — ახლა ცოცხა მოისვენე, დალილი ხარ, — უთხრა ჩოფურამ, — მერე კიდევ მოვილაპარა-კებთ...
 — თქვენისთანა ლაჩრებთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, აი თქვენნი სილაჩრის ნაყოფი! — უჩვენა კოწიამ ცნობამიხილ მამაზე და ჩო-ხის კალთით ეცადა თავიდან გადმონადენ სი-სხლის შეჩერებას.
 — მამა, მამა! — ჩასძახა კოწიამ, მაგრამ მა-მას აღარაფერი ესმოდა, ის ამ ქვეყანას აღარ იყო...

XVI. პატარა გმირი ნინო.

რაზმის უფროსმა ბრძანება გასცა პავლეს ოღას გარემო შეშა და ფიჩხი მიეგროვებინ-ათ.
 ბრძანება სწრაფად იქნა შესრულებული და აუარებელი შეშა-ფიჩხი მიაყარეს ოღას.
 — ბატონო ბრიკაძე, მე მინდა თქვენს ოღას ცეცხლი წაეღვიო, რას იტყვით თქვენ? — და-ცინვის ღიმილით ჰკითხა უფროსმა.
 — კარგი თქვენგან არც გამიგია და არც რამეს მოველო; ლაჩართაგან სილაჩრის მეტს ვერას ვაივებ! — უშიშრად უპასუხა კოწიამ.

ქალაქი

მღელვარებს, ელვარებს სიცოცხლით ქალაქი, ათასი ფერი აქვს, ათასი ნალაქი, და მიაქვს ზღვა ნიავს ოცნება სხვა გვარი, ჰკვივის და ხმაურობს ფოლადი მაგარი. ენთება, ეღება გარს ცეცხლი შავს ქარხნებს, და ალი სწვავს სივრცეს... ქვეყანას ანათებს!..
 ბესარიონ პედაშვილი.

— წაუკიდეთ ცეცხლი! — გაისმა უფროსის ბრძანება და ოღას გარემო მიყრილი მშრალი ფიჩხი სწრაფად აგუზგუზდა.
 — კოწია! — უცებ გაისმა აივანზე გულის გამგმირავი კვივილი და შეშინებული ნინო კი-სერზე ჩამოეკიდა თავის ძმას.
 — ეს კაი ნაქერი გამოჩნდა! — სთქვა ჩო-ფურამ და ახლო მივიდა: — ბრიკაძე, შენ რომ ჩვენ ქალი წაგვართვი, ეს გოგონა იმის მაგიერ იყოს!
 კოწიამ პასუხის ნაცვლად ისეთი წიხლი ჰქარა მუცელში, რომ ყაზახი რამდენსამე ნაბიჯზე გადაეყარდა.
 მეორე ყაზახმა უკანიდან თოფის კონდახი დასცხო თავში და დარტყიანებული კოწია იქვე დაეცა თავის მამასთან.
 — დედაა, დედაა! რად შევესწარ მე ამ დღეს, რატომ არ მოგვედი! რატომ ქეთევან-თან ერთად არ დავებრჩე მდინარეში თავი! — სახარლად გაჰკიოდა ნინო მხაარულად მოხით-ხით მეფის ყაზახთა შორის.
 ცეცხლი კი უკვე მთელს ოღას მოედო და უშველებელი კოცონი მთელს სოფელს ანათებ-და ღამის სიბნელეში.
 — მამო, მამავ, შემომხედეთ, მითხარით რა-მე! — ცხარედ დასტიროდა ნინო მამას და ძმას, — რატომ დამტოვეთ აქ, ვისთვის დამტოვეთ!.. რად ჩამავდეთ ამ შხამიან გველებს ხელში.
 — ნუ სტირი, ქალო, ნუ სტირი, მამა და ძმა თუ აღარ გყავს, ჩვენ ხომ აქ ვართ! — უთ-ხნა ერთმა ყაზახმა.
 — ოო, ამალამ ისეთი დრო გავატარებე-ნოთ, რომ თავის დღეში არ დავაგვიწყდე! — დასცინა მეორემ.
 — წყევლიმც იყავით თქვენ ყველანი! — მიუგო ნინომ და განაგრძობდა ტირილს; ხან მამას ეხვეოდა, ხან ძმას.
 — გული მოიბრუნე, ქალო, მამასთან და ძმასთან ისე ვერ იმხარულვები, როგორც ჩვენთან; ჩვენს ხელში არ მოიწყენ, ნუ გეშე-ნიანი, — უთხრა ჩოფურამ და გულთანად გადი-ხითხითა.
 — თქვენს ხელში ყოფნას ცეცხლში დაწვა მიჩრევიან! — შესძახა ნინომ, წამოხტა და თვა-ლის დახამხამებაში გადაეშვა ცეცხლის ზღვა-ში...
 ყაზახები პირდაღებული შესტყობოდნენ ცე-ცხლის ალში გახვეულ პატარა გმირ ნინოს...
 მუშა ნიკო ახლამაშაშვილი.

პ ა ს ი ლ გ ე რ ი ა ქ ე

(1905 წ. ამახავი)

— აბა ვასილ, შენ იცი, როგორც მარჯვეთ იქნები, მოხერხებულათ იმოქმედე, შენ უნდა გადაწყვიტო ამდამ რამოდენიმე კაცის მელი, ვაგლახათ არ ჩავარდე, ხომ იცი თითზე ჩამოსათვლელათა გყავს დღეს საიმედო ამხანაგები...— ასე ვაფრთხილა ვინომ ვასილ გვირამე, რომელიც ნაბადში გახვეული, უსიტყვოდ შეველივით გაიჭრა პატარა ქობიდან კარში და პირქუშ ლამის წყვილიდში მიიმალა...

ვასილი ერთი ლაიბი გლეხი იყო... მას საკუთარმა გაჭირვებამ აღრე შეაგნებია ცხოვრების უკუღმართობა, რამაც ყოველივე საკუთარი, პიროვნული მიავიწყებია და იარაღით ზღუდში ტვირთმძიმეთა განთავსებულების სადარჯოზე დააყენა... ვასილამ ისწავლა, რომ თავისუფლების და თანასწორობის მოპოვება მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა.

ლამის წყვილიდ ვასილს ხელს არ უშლიდა, რადგან ტყვეთ ვასულს, სინებისათვის თვალი საკმაოთ შეჩვეული ჰქონდა... ის აღრე მივიდა თავის საფარ ადგილას, ჩაჯდა და დაიწყო ლოდინი... ამ ლამით აქ მანრის ბოქალს უნდა გამოეყოფა გამაღიერებელი ყაზახთა რაზმით თავისუფლებისათვის მებრძოლთა დასარბევით... ზის და იცდის სულგანაბული ვასილი... მალე მან ყური ცქვიტა... ცხენის ფეხის ხმა აშკარათ მოისმოდა მოქვიშულ შაია-გზაზე...

ვასილმა თოფი მიიმარჯვა... ვასილი გზიდან შორს არ იყო და შორებულა, მაგრამ საშინოვანა მინც არაფერი მოელოდა, რადგან საფარი ისეთი საიმედო ჰქონდა, რომ დღისითაც ვერ შენიშნავდა მას კაცი... შავი ლანდები მოახლოვდნენ... მწყობრათ მოდიან, წინ ის მოუძღვის, ვის გაუმძღვარ სულს არა ერთი მებრძოლი უმსხვერპლია...

იგრილა თოფმა... და წინა ლანი, თითქოს ვიღამაც მძლავრი სული დაჰბერაო, წუთში მოწყდა ცხენიდან... მხლებლები იბრინენ... უუფროსობა დაეტყუათ... ვასილის თოფი კვლავ ცეცხლს აფრქვევს ლამის წყვილიდში... არც ერთი ტყვეა უმინით არ დაკარგულა... სამამრისფერი სიჩუმე ჩამოვარდა... შორს მოისმოდა, მხოლოდ, გაქცეულ ყაზახთა ცხენების ფეხის ხმა...

ვასილი მინც იცდის... ის ფრთხილია და გამოცდილი... ერთხან ადგილიდან ათვალისრებდა შირა გზას... მაგრამ როდესაც მისმა გამჭირვანთა თვალმა ვერავითარი საფრთხე ვერ შეიქნია. საფარი დასტოვა და წინარი ნაბიჯით დაეშვა გზისაკენ...

დახოცილთ იარაღი აპყარა და სიხარულის ბურუსში გახვეული გემართა სასიხარულო ცნობის ვადასაცემით...

პირველ ხანებში საქმე კარგათ მიდიოდა... რევოლუციონერთა მებრძოლი ჯგუფები შირის ზარს სცემდნენ მეფის ჯოღათებს... ბოქალის სიკვდილმა სოფლათ ფეხი ამოაკეთებთ მათ...

მაგრამ დიდ ხანს კი არ გაგრძელდა ასე... ერთ მშვენიერ დღეს ხმა გავარდა აღიხანოვი მოდისო... მოკვდინებელი იყო ამ ამბის გაგონება მთელი დასავლეთ საქართველოსთვის... კარგათ იცოდნენ, რომ ის ცეცხლითა და მახვილით შემოვიდოდა, იქ სადაც მათი მესაფლავების შთავარი ბუდე იყო... ასეც მოხდა... მან ცეცხლის აღს მისცა სოფელ-ქალაქი და დამწვარ საქართველოს გულზე სისხლის შადრევებს დააწყებინა ცემა...

ყველა შეჩინეულ სოფლებს „იგზეტუტია“ შეასიეს... გულშემაზრავ სურათს წარმოადგინდა მთელი ეს კუთხე... ტანჯვა-წამება... სიკვდილი... ნასუსის ახდა... სახლების გადაბუგვა ყოველ ნაბიჯზე ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა...

— ეფრო აბა შენ იცი, როგორც მარჯვეთ იქნები... არ შეგაშინოს არაფერმა... თვით აუწყრელ ტანჯვამაც კი რომ შენამდევ მოაწიოს... ბიჭს მოუარე, გეხვევები ჩემო ეფრო... არ მომიკლა გამიზარდე... მე კი ვივალ თორემ ვინ იცის... ასე ეუბნებოდა წასასვლელათ გამზადებული ვასილი თავის საყვარელ ცოლს, რომელიც ერთი თვე არ ენახა.

— ვასილ! შენ შემოგველოს შენი ეფრო, ეს ერთი ღამე მინც ვაბატრე კაცო ადამიანურათ... ვერავინ ვერას გაიგებს... დილით კი აღრე წაიღი... ცრემლ ნორეული ემუდარებოდა ვასილს ეფრო, რომელსაც მონატრებული ჰქონდა მისი ნახვა...

ვაქაცის გულზე ცრემლმა იმოქმედა... შედეგა თითქოს მძიმე კითხვის გადასატყრელათ... მაგრამ მალე ხელი ჩაიქნია და შინ დარჩენა გადასწყვიტა...

— მაშ კარგი, ეფრო დარჩები... ვინ იცის ერთი წუთის ტბილი მოსვენება რათ მიღირს მარა... — არაფერია ვასილ, ნუ გეშინია... მე სულ არ დავიძინებ... გიყარაულებ... ცრემლ მორეული ეუბნებოდა ეფრო ვასილს, რომელიც ის იყო მიწვა ტანთ გაუხდელი, ქოხში ვაკიმულ გრძელ ლოგინზე... და ფიქრებში გართულმა მალე საამო ფშვერა ამოუშვა...

ეფრო ერთხანს თავის დაპირებას პირნათლათ ასრულებდა... ყარაულობდა... მარა მოღლილმა ველარ შესძლო და თავის საყვარელ მეუღლეს მიუწვა გვერდით... წასთვლიმა... მასაც ჩაეძინა...

ვასილი საზარელ სიზმარს ხედავს... თითქოს მას დასატყრათ ალყა აქვს შემორტყმული... მშფოთარე სიზმარმა გამოაღვიძა... აქ იქ უკვე მამლის ყვილი გაისმოდა... ის წამსვე ფეხზე წამოიჭრა და თოფი ხელში აიღო ცოლსა და მძინარ ბიჭუნას გადახედა... რომ არ გამოეღვიძებია, ფრთხილათ დიხარა, შუბლზე აკოცა და შეტრიალდა წასასვლელათ... წუთით შედგა... ჩაუჭკრა...

— ეკ, ჩემო ტანჯული ცოლ-შვილო! ვინ

იცის, იქნება ეს უკანასკნელი, გამოსათხოვარი ნახვა იყოს ჩემთვის თქვენი... ყური სცქვიტა... გარეთ რაღაც ხმაურობა მოისმოდა... ეტყობოდა სამოყვაროთ არავინ იყო მოსული...

— ალყა!— წამოიძახა ვიღამაც.

— ესეც ჩემი სიზმარია... არ მწამდა არაოდეს და დღეს კი ამხიბთ, მაგრამ ვაქაც ტბილი არ შეშენის... აღბათ ასეთი ყოფილა ჩემი ბედი... ესეც, ეგებ ისე, როგორც მრავალჯერ ენლაც გამარჯვებული დავრჩე და თუ არა დაე ენაცვალოს ჩემი სიცოცხლე მას, რასაც დღემდე შეეხაროდა...— ესა სთქვა ვასილმა, და ცალ ხელში რევოლვერი მოიშინა, თოფი მხარზე მოივლო და სწრაფად გავარდა კარში... ქოხს გარშემო მართლაც ალყა ერთყა... გამოცდილმა ხელმა ალყის ერთ მხარეს გასკლისათანავე წვიმასავით დაუშინა რამდენიმე თავზარდამცემი ტყვია... არ ელოდნ ასეთ შეხვედრას... შეშინდნ.— წრე გაირღვა და ვასილს საშუალება მიეცა გაქცევის, მაგრამ... მტრები მალე გამოეჩვენნ და სროლა აუტრებეს... ერთი წერტილისაკენ მიმართულმა ტყვიმთა წვიმა ასცდა გმირი ვასილი...

დასკურეს სამართლო... გაქცევის საშუალება მოესპო...

ყაზახთა გამხვეცებული ბრბო ხანჯლის წვერებით აწამებდა გაშინებულ ვასილს. მისი, სისხლში შეღებული, სხეულის ყოველი იდგილიდან სისხლას მჩქეფარე შადრენები სცემდა... მტკიცე ურყვევი რევოლუციონერი მტკიცედვე ლევდა დიდი საქმისათვის განაწამებ სულს... დილას დაწყებული წამება ძლივს სამამოთი მოთავდა... სისხლისაგან დაცოლი ვაქაცო, წითლათ შეღებილი ევლო ატბორებულ ნიაღვრში... მოვედა... ვითავდა... მაგრამ... მისმა და მის თანამოძმეთა გულიდან აღმონახეთქმა, მოლაპლავე ნიაღვრებამ საუკუნოთ წლიეკეს მტარვალთა სიმეფო და მშვარლთა და ტვირთმძიმეთ კი შვება და თავისუფლება მიანიჭეს...

გიგუტო.

მ ს ჰ პ რ ი ს კ ი რ ა ლ

საღამოს ეამზე, შემოდგომისას როს მზე ცის კილურს მიეფარება. ვზივარ მტკერის პირად, და დედუნს მისას უსმენ, და მიპყრობს იღუმალება.

მსურს გადვებვით ბოძოქარ ზღვირთებს, ლუკლუქს იდუმალს, რომ მისწვდეს სული ჯადოს საფრები ავხალო მითებს, ვივარდო სიცოცხლე და სიხარული...

და, მტკვარის მკერდიც იმე ნახდება, ვითარცა დედის ჩუმი აღერისი... გრძნობის არეში ფინანდაზდება ბრძოლის წყურვილი უღლიერისი...

ონისიმე კვიტირელი.

რ ა ლ ა მ ი მ ბ კ ი ც ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა ე

ჯ ა მ ლ ო ნ დ ო ნ ის ა მ ბ ო ა ი ო ბ რ ა შ ი ა

მე დავიბადე მუშურ ოჯახში. ჩემი ადგილი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ფსკერზე, სადაც ხედურათ მქონდა სიბინძურე და გაქირვება. ჩემს ზევით აღმართული იყო უდიდესი შენობა—საზოგადოება და მე მქონდა მხოლოდ ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან: ზევით! ჯერ კიდევ ნორჩი ვიყავი, როცა გადავწყვიტე, რომ უნდა ავიღო ამ შენობის საფეხურებზე. იმ წიგნების მიხედვით, რომლებიც მე ჩამივარდებოდნენ ხელში და წაგიკითხავდი, ყველა მამაკაცი და ქალები, გარდა ყაჩაღებისა და ავანტიურისტებისა, საუკეთესო აზრებით იყვენ გამსჭვალული და საგმირო საქმეებს ახდენდნენ.

ძოკლეთ, რომ ვსთქვით, ისე როგორც მზის ამოსვლა, მჯეროდა, რომ არსებობს მშენიერი, კეთილშობილური სამყარო, რომელიც წარმოადგენს წყაროს ბედნიერებისას დედამიწაზე, რომელიც არის გამართლება სიცოცხლის, ჯილდო ტანჯვისა და წამებისათვის.


ძნელია გზის გაკაფვა კაცისათვის, რომელიც მუშათა კლასს ეკუთვნის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის შემოქილია თავისი იდეალებით და ილიუზებით.

მე ვცხოვრობდი ფერმაზე, და ჩემთვის ძნელი იყო მონახვა იმ კიბის, რომლითაც შეიძლება ზევით ასვლა. პირველ ყოვლისა, მე განვიზრახე ფულების შეგროვება მომპირნობით. მე შევიადარე მუშის ჩვეულებრივი ხელფასი და მისი ხარჯები და დავრწმუნდი, რომ თუ მე დამუშავებდი დაიწყებ მუშაობას და ხელფასის ნაწილის გადადებდა, მუშაობაზე ხელის აღებას და თავის მიცემას იმ ტკბილი ცხოვრებისათვის, რომელიც შეძლებულა ხეოდრია, შევსძლებ მხოლოდ მაშინ, როცა უკვე 50 წლის ვიქნები. რასაკვირველია, მე მაშინვე გადავწყვიტე, რომ ცოლს ვერ მოვიყვან. მაგრამ ჩემს ანგარიშებში, სრულიად გაუშვი მხედველობიდან ის, რაც ბედისწერასავით უღარაჯებს თითველ მუშას: ავადმყოფობა.

სიცოცხლის ინსტიქტი ჩემში ვერ დაკმაყოფილდებოდა ასკეტური ცხოვრებით და ამ, მე,—ათი წლის ბავშვი ვახდები ქუჩაში გაზუთის გამყიდველი და ჩემში თანდათანობით ახალი წარმოდგენა იქმნებოდა საზოგადოების შესახებ. ჩემს გარშემო ვლავინდებურად სიბინძურე იყო, შორის სუნთხვა, ზევით კი კვლავ ვხედავდი სამოთხეს, რომელიც ელოდა დაუფლებას, მაგრამ გზა, რომლითაც მე მივდიოდი ახლა, ძლიერ შეიცვალა. ამ ახალ გზას წარმოადგენდა ვაჭრობა. რა საქარია შრომის ხელფასის ნაწილის გადადება და მისი მოთავსება სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, როცა შემიძლია 50 ცენტად ვყიდო ორი ცალი გაზთი, ვაყვილო ათად და ამრიგად საკუთარი თანხები ვავაორკეცო? ვაჭრობა მე ყველაზე უფრო ხელსაყრელ საშუალებათ მეჩვენებოდა

და ჩემს თავს უკვე ვთვლიდი დოლარების ბედნიერ პრინცად.

ამაო იმედები! შემდეგში მე შეუბრალებლად მყვლედენ სხვა კაპიტალისტები. მე მქონდა ლონიერი კუნთები—ისინი მათი საშუალებით ქონებას იძენდნენ, მე კი ძველებურად ვცხოვრობდი სოლტაქში. მე ვიყავი მეზღვაური, ვმუშაობდი კონსერვების ფაბრიკაში, მძიმე მრეწველობაში, სამრეცხაოში, ვჭრიდი შუშას, ვთიბავდი ბალახს, ვრეკდი ნოხებს, ვწმენდი ფანჯრებს. და არსად არ მიმიღია სრულად



ჯ ა მ ლ ო ნ დ ო ნ ი

შრომის ხელფასი. მე ვნახე კონსერვების ფაბრიკაში ქალიშვილი ლამაზ ეტლში მჯდომი და ეცოლი, რომ ეს ეტლი ჩემი შრომის ნაყოფია; მე ვხედავდი მრეწველის შვილს და ვიცოდი, რომ იმ ლენოს, რომელსაც ის სვამდა და საზოგადოება, რომელშიც ის ერთობოდა, ერთნაირად მოითხოვენ ჩემს შრომას, ჩემს ყველფასს. ეს მათი თანაშის წესს შეიძენდა. ისინი ძლიერი იყვენ, მაგრამ მეც ლონიერი ვიყავი. მე ვავიკავებ გზას მათ შორის და ისე, რო.ორც ისინი, სხვისი კუნთების ძალას ფულებად გადავქცევ. მე არ მეშინოდა შრომის, პირიქით, კიდევ მიყვარდა მძიმე სამუშაო. მე ვმუშაობდი რაც ძალი და ღონე მქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს ვაემხდარიყავი „საზოგადოების დედამოძი“, როგორც ისინი.

სწორეთ ამ დროს, მე შევხდი ერთ მრეწველს, რომელსაც ასეთივე განზრახვები ჰქონდა. მე მიხლოდა მუშაობა,—მას ჰქონდა სამუშაო. მე ვფიქრობდი, რომ ვისწავლიდი ხელობას. ნამდვილათ კი ვაკეთებდი ორი კაცის საქმეს. მე ვფიქრობდი, რომ მე ის გამხდლია ელექტროტენიკათ, ნამდვილათ კი ის ჩემი ხელებით აკეთებდა 50 დოლარს თვეში. ის ორი, რომლის სამუშაოს მე ვაკეთებდი, თვეში ორმოც დოლარს იღებდნენ, თვითული. მე

კი ვიღებდი მხოლოდ 30 დოლარს ამ მუშაობისთვის. ამ მწარმოებელმა კინაღამ საფლავში ჩამდენა. შეიძლება კაცს უყარდის ლოკოკონები, მაგრამ ლოკოკონების მოჭარბებულათ ქ.მა ბოლოს და ბოლოს შეგაძლებს ამ საყვარელ საქმესაც,—ასე მომივიდა მეც. გადაჭარბებულმა მუშაობამ ავიღ გამხდა. ლაპარაკსაც კი ვერ ვამაგონებდენ შრომაზე. გაუხელი მაწანწალა. შეერთებულ შტატებში კუთხე არ ღარჩენილა, სადაც არ ვყოფილვარ, ვმათხოვრობდი, სისხლიან ოფლით ვიღვრებოდი ციხეებში.

მე მუშათა წრიდან ვიყავი, და ახლა 18 წლის, საზოგადოებრივ ასავალზე, მე უფრო დაბალ საფეხურზე ვიდექ, ვიდრე ოდენსმე,—სულ დაბლა, სარდაფში, ფსკერზე, ისეთ გაქირვებაში მყოფი, რომ სიტყვით აღწერა არ შეიძლება.

შემდეგ აღმეძრა სწავლის და ცოდნის შეძენის არაჩვეულებრივი წყურვილი. მე დავბრუნდი კალიფორნიაში და ჩაერგი თავი წიგნებში. როცა ამრიგათ ვეძახდებოდი, რომ ვებეზდარიყავ „კოდნით მოვაჭრე“, მე მომიხედა სოციოლოგიისთან გაერთობა. აქ მე ვიპოვე მიცინერულად ჩამოყალიბებული ძირითადი სოციოლოგიური დებულებები, რომლებიც წინათ საკუთრივ ჩემთვის მქონდა გამოუმუშავებული. სხვებმა, უფრო ჩემხადებულმა პირებმა, ჩემზე ადრე გამოითქვეს ჩემი და სხვა მრავალი აზრები. მე აღმოვაჩინე, რომ მე სოციალისტი ვარ და მივეკვლე რევოლიუციონურ ორგანიზაციებს. მე აქ შევხდი სულით ძლიერ ხალხს. მე აქ შევხვი მუშათა კლასის ძლიერ წევრებს. მე აქ ვპოვე ღრმა რწმენა საკაცობრიო იდეალებისადმი, თავგანწირვა, თავდადება. ვპოვე, რაც კია უღამაზესი ცხოვრებაში. მე აქ ვავიციანი ხალხი, რომლებიც ნებისყოფითა და თავისი საქმით ებრძოდა დოლარებს და ცენტებს, მე აქ ვავიციანი ხალხი, რომლებსათვისაც ნაფლეთებს, მშორ ბავშს ტანს რომ უფარავს, უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე გაბატონებულ კაპიტალისტების თვალისმჭერელ ფუფუნებას.

როგორც „კოდნით მოვაჭრეს“ მე ბედმა გამიღმა. საზოგადოებამ გამილო თავისი კარები. მე პირდაპირ საზეიმო დარბაზში მოვბდი და აქ ჩემი ვანთავისუფლება ილიუზებისგან სწრაფი ნაბაჯით წავიდა წინ. მე უკვე მაგიდას უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენლებთან, მათ ცოლებთან და ასულებთან ერთად. ქალები მშენიერათ იყვენ ჩაცმული, —ამას ვერ დავფარავ. მაგრამ არა იმდენათ ამაღ, რამდენადაც მათმა სულიერმა სიცარიელემ, ვონებრივმა სიწიწიერემ აღმაშფოთა მე. ეს მშენიერათ ჩაცმული დღდააკები ტრეტიკობდნენ პატარა ტკბილ იდეალებზე. ისინი სანტიმენტალური და ფგოისტური არსებანი იყვენ.

ისინი მონაწილეობას აღებდნენ ყველა პარტი-
რა საბჭოელო-საქმეებში, უფრო მეტს
ლაბარაკობდნენ ამასზე იმ დროს, როცა მათი
საბჭოელი და ტანსაცმელი ნაყიდი იყო ბავშვთა
შრომის, იძულებითი სამუშაოების და პარს-
ტიტუციის სისხლით შეთხზილი ფულებით.
როცა მე მიუთითებდი მათ ამასზე და გულუ-
ბრყვილოდ მოველოდი, რომ ისინი იმ წუთ-
შივე უარს იტყვიდნენ ტანსაცმელზე და ძვირ-
ფასეულობაზე, რომლებსაც სისხლის სუნნი
სდიოდა, ისინი აღელდებოდნენ, მუწუბარებს
გამოსთქვამდნენ და მიკითხავდნენ ლექციას, რომ
ხალხმა არ იცის მომჭირნეობა, რომ ხალხი
ლოთია, ბუნებით გარყვნილია და რომ მხო-
ლოდ ამ მიზეზებით არის გამოწვეული სილა-
ტაკე და გაქირვება იქ, საზოგადოების ფსკერ-
ზე. მაგრამ, როცა მე ვუპასუხებდი: როგორ
შეიძლება, რომ ლოთობით, ბუნებრივი გარ-
ყვნილებით, მომჭირნეობის უჭონლობით იყოს
გამოწვეული ის მიზეზები, რომლებიც ექვს
წლის ბავშს იძულებდნენ 12 საათი იმუშაოს
დღედაღამეში სახერხე ქარხანაში, — ისინი მომ-
დგებოდნენ პირადად მე, მიწოდებდნენ აგიტა-
ტორს, თითქოს ამით შეიძლებოდა ჩემი არ-
გუმენტების უარყოფა.

ასევე მემართებოდა მამაკაცებთან შეხვედ-
რის დროს. მე ვხდებოდი ხალხს, რომლებსაც
მალაღი თანამდებობა ეჭირათ, მღვდლებს,
პოლიტიკოსებს, საქმიან ხალხს, პროფესორებს
და ყურნალისტებს. მე ვსვამდი და ვჭამდი
მათთან, ვსვირნობდი მათი ავტომობილით,
ვისწავლიდი მათ. და მართლაც, მათ შორის
მე ვნახე რამდენიმე, მართლაც პატიოსანი და
და კეთილშობილი. მაგრამ მცირეოდენის გა-
მოკლებით (ამ უკანასკნელთა ჩამოთვლა თი-
თებზე შეიძლება), ესენი არ იყო ცოცხალი
ხალხი. ისინი, ამათ რიცხვიდან, ვინც არ
ცხოვრობდა სიბინძურეში ჩაფლული, წარმო-
ადგენდნენ მხოლოდ დაუსაფლაველ გვამებს,
პატიოსანსა და კეთილშობილებს, როგორც
კარგად შენახული მუმები.

მე განსაკუთრებით საჭიროდ მიმაჩნია მიუ-
თითო აქ პროფესორებზე, რომლებსაც ხედებო-
დი. ესენი იყვნენ აღამიანები, რომლებიც ემსახუ-
რებოდნენ „უმაღლესი სკოლის იდეალს“, ხალხი,
რომელიც დინჯად, შეუფოთებლად, კარჩაქე-
ტილი, გართული იყვნენ მკედარი ქეშმარიტების
ჭებში. შემხედვრია მე ხალხს, რომლებიც
თავის ანტიმილიტარისტულ სიტყვებში მშვი-
დობიანობის მზეს ფიცვლოდდნენ და იმავე
დროს იარაღებს ურჩევდნენ პინკეტონის*)
აგენტებს საკუთარ ქარხანაში გაფიცვის ჩა-
ქრობათ.

მე მივხვდი, რომ ჩემთვის შეუძლებელია სა-
ზოგადოების ბელეტიკაში ცხოვრება. და მე
დაუბრუნდი უკან მუშათა კლასს, საიდანაც

გამოვედი და რომელსაც ვეკუთვნოდი. მე აღარ
მსურს ზევით ასვლა. საზოგადოების დიდებუ-
ლი შენობა ჩემთვის არავითარ სიტყვების
არ შეიცავს. საძირკველია — აი რა მინტერე-
სებს მე. მე აქ დაკავშირებული ვარ შრომას-
თან, მე აქ ვკრძობ, რომ ჩემს გვერდით არიან
კლასობრივად შეკავშირებული მუშები, რომ-
ლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ამ შენობის და-
გრევა.

და დადგება დღე, როცა ჩვენ გავნაივებთ
ამ შენობას, სადაც არის აშორებული ცხოვ-
რება და დაუსაფლაველ გვამები, აღმშოფო-
თებელი გგოახში და მახინჯი მატერიალიზმი.
ჩვენ გავწმენდთ ამ სარდაფს და მოვაწყობთ
ახალ სახლს კაცობრიობისათვის, სადაც არ
იქნება ბელ-ეტაჟი, არამედ ყველა ოთახები
იქნება დიდი და ნათელი, და ჰაერიც, რომ-
ლითაც ჩვენ ვისუნთქებთ იქ, იქნება წმინდა,
კეთილშობილი და მაცოცხლებელი.

წითალი გვრინავების სიმღერა.

ჩემო მფრინავო, სიბრძნის ნაყოფო,
გაფრინდი სწრაფად, გაშალე ფრთები.
ელვის სისწრაფით მიყვან ცაზედ,
ქვეშ მოაქციე მყინვარის მთები.

შეუთამაზე სევდიან ღრუბლებს,
ღრიალ-ბრიალით გააპე გზები,
მიუახლოვდი ლილის-ფერ ეთერს
მარისხ ვსმინოთ ძლიერი ხმები.

გზისა სიძნელეს არ შეუშინდე,
მალა მავალო, ნურსად შესდგები,
რომ ბოროტ მტერსა ბოლო მულოთ
ქირთაგან ვიხსნათ ტანჯული ძმები.

რაა სიცოცხლის აწ დანანება,
თუ აყვავდება ეს ჩვენი ცდები.
ვერ შეგვაშინებს ქექა-ქუხილი,
ვერც მოსულელი ელვის ალბი.

გასწი-გაფრინდი, ფაფარა-აშლილი,
განადგურე რაც დაგხვდეს წინა,
გადამატარე ზღვა და ხმელეთი,
სატრფოს ნახე მსურს, მიმიყვან შინა.

იქ მომელიან ობლათ შთენილნი:
პატარა დები, ტანჯული ძმები,
მარდათ. — არ ვნახოთ მტრისგან ნაგლეჯი
წითელ სამშობლოს ხუჭუჭა თმები.

ა. შინატენელი.

ბოქი

8. საუბარი

— აი თქვენ, ბიჭებო, აღშფოთებული ხართ
თქვენი ადმინისტრაციის საქციელით. ჯარი-
მები, გამოირიცხვა და სხვა ამგვარი. წარმო-
დგენილი მაქვს თუ რას იტყოდით, ერთი დღე
რომ გემუშავნათ ჩემსადით დენვერში კორნის
ქალაქის ფაბრიკაში იქ ჯარიმებით არ გვა-
წუხებდნენ კარგადა, ამბობთ? მაშ მისმინეთ
თუ როგორ კარგია ეს.

დენვერი დიდი ქალაქია. დიდი ხანია მან
გადაყალბა ყველა გარეუბნები და მრავალი
ფაბრიკა ახლა შიგ ქალაქშია. მათ რიცხვში
ჩვენიც. რაზე ვამბობ ყველაფერ ამას? — დი-
ცადეთ, გაიგებთ! მოწყობილობა ქარხანაში
ძველია, მაგრამ მოგებას იგი იძლეოდა უფრო
მეტს, ვიდრე ახალი. მიხვდით რაშია საქმე? —
გემუშაობდით ჩვენ თითქმის მხოლოდ ხელით,
ასე მოსწონდა ბებერ კორნს, — გემუშაობდით
ორ რიგით 12—12 საათი დღეში. ვცხოვრო-
ბდით ხის ბარაკებში, რომლებიც ასი წლის
წინათ იყვნენ აგებული, ვცხოვრობდით მუდმივ
საფრთხეში, რომ ავერ-ავერ ჩამოინგრევა ქე-
რი და ყველას გაგვეყვებინა. რა? ჯარიმები?
ჯარიმები ჩვენთან არ არსებობდა: არსებობდა
ხელშეკრულებები, რომლებიც 2—3 წლის გან-
მავლობაში მუშებს კორნის უსიტყვო მონათ
ხდიდნენ. დაშავებ რამეს, გამუშავებენ ზედ-
მეტს 8—10—12 საათს. რა? ეს ჯარიმაზე
უარსებია? მაშ, აბა რას ფიქრობდით!

მოზობლამ ჩვენთან ქალაქი. ქალაქის თვით-
მართველობამ განუცხადა კორნს, რომ უნდა
შეაკეთოს მუშათა ბინები. დიდხანს იწუწუნა
კორნმა, მაგრამ შემდეგ უტებ მოლბა და სა-
სწრაფოდ დაიწყო ახალი შენობების აგება.
ჩვენ მაშინვე შევექვიანდით. კორნი მსუწავი
იყო, როგორც სატანა და საშინლათ ჯიუტი.
არ ყოფილა შემთხვევა, რომ ის აღამიანუ-
რად მოპყრობოდნენ მუშას. ყველა შემთხვევებს
იყენებდა ის არამზად: დათვრა მუშა-ჯარიმის,
მუშაობის დროს თამბაქო მოსწია — ჯარიმის
ყველაფერი ეს ზედმეტი მუშაობის სახით.

ორი წლის წინათ, მუშებმა მოითხოვეს ამ-
ბულატორიის მოწყობა ქარხანაში. ბებერმა
თავი დააქნია, გაიღიმა და წინადადება მისცა
მუშებს მცირეოდენი თანხა გადაერიცხათ ამ
მიზნისათვის. იმ დღიდან მუშებს ხელფასი-
დან ყოველ მიღების დროს ურიცხავდნენ მთელ
დოლარს, ამბულატორია დღესაც კი არ არის
მოწყობილი.

და ამიტომ, როცა მან ღიმილით, განაცხა-
და, რომ აშენებს ჩვენთვის ახალ ბინებს, ბა-
რაკებს კი არა, არამედ სამ სართულიან ხის
სახლებს, ჩვენ რალაცამ ჩავფიქვით. მაგრამ
თუ რა ხრიკებს აწყობდა კორნი, ვერ მიმდარ-
იყავით.

ჩვენ გყავდა ქარხანაში მემანქანე ტიმოკერ-
რი, საუცხოო ბიჭი, კარგი ამბანავი, სოციალი-

*) პინკეტონი — ეს იყო კვირძო სიბრძნული ბოლი-
ციის სააგენტოს მეთაური. ასეთი სააგენტოები მრავ-
ლად არსებობენ ამერიკაში და დიდ დახმარებას უწე-
ვენ შრეწველებს მუშათა კლასთან ბრძოლაში.

სტი, როგორც ყველა ირლანდიელები, თავზე ხელაღებულნი. ჩვენ ზოგჯერ გვაკვირვებდა, როგორ მოხდა ის, რომ ასეთი მუშა კორნის მონა გახდა. ტიმი ასეთი კარგი მცოდნე მუშა, რა ჯანდაბა უნდა მას კრიეანგ კორნთან? ეკითხებოდნენ მას, მაგრამ ის სდუმდა ან ხუმრობით უპასუხებდა, რომ უღაბნაში უნდა წასვლა სამარხვით, მაგრამ ჯერ-ჯერობით გამოცდას იჭერს კორნთან.

II

ერთხელ ტიმი ქალაქში წავიდა და იქიდან ჩაიფიქრებული დაბრუნდა.

— ტიმ, მოდი აქ,—დაუძახეს ამხანაგებმა, ჩვენ საღამოობით ვისვენებდით ახლად ასაგებ შენობებთან დაკრძალვით მოძებნე.

ტიმი მოვიდა, დაჯდა მოღუშული და შემდეგ ამბობს:

— სამს სასიკვდილოთ სცემს.
— ვის? სად? ვინ?
— კლანები*) ქალაქში თავს დაესხნენ კავშირის განყოფილებას. ყველაფერი დაარბიეს. კავშირში მომუშავეებს სცემეს. სამი მოკლეს.

და გაჩუმდა. შემდეგ წამოხატა და დაიყვირა:

— მაშ კარგი არამზადებო! ყველას გამოგათრევთ მზის სინათლეზე! ვიცი თუ ვის ხარჯზე ცხოვრობენ კლანები! ეი, ფრთხილად კორნო!

— ერიპა! გაგიფიქრებულა ბიჭი!—სთქვა ვილაკამ.

— არ შემიძლია მეტი გაჩუმება,—ყვირის ტიმი,—ომი მაშ ომი იცით თუ არა თქვენ, რომ აქაურო ფაბრიკანტები ყოველთვიურად აძლევენ ფაბრიკებს 50.000 დოლარს? იცით ახლა სად მიდის თქვენი ფულები? კორნს თქვენი ამბულატორიის მოსაწყობი ფულები თქვენი სახელით ფაბრიკებთან მიაქვს. მიხვდით? თქვენ ინახავთ მტრებს! სახლების აგების ინსტროიცი არ იცით? არა? ვის აქვს წუმი წუმი? წავიდეთ იმ ბოძებთან დღეს რომ მოიტანეს. ხედავთ? სულ ძველებია, დამაალი... დამშლევ საზოგადოებაში ეს სახლი 40.000 დოლარით არის დაზღვეული. ახლა მიხვდით? თქვენ გაიქცილებით, კორნი კი ფულებს აიღებს.

წარმოუდგენელია რა ამბავი დატრიალდა, გავგიჟდით ყველანი.

— წავიდეთ კორნთან! ხეზე ჩამოვკიდოთ ის არამზადი გავვლიყოთ ის ყურმუსალი.

— შესდექით!—სთქვა ტიმმა—ასე არ ვარგა: ყველანი ტყუილა უბრალოთ დაიღუპებით. კარგი წარმოვიდგინოთ, გაზღვნი თქვენ მას, მაგრამ ერთი ისიც დაითვალეთ, თუ რამდენ თქვენგანს ჩამოაღრიზებენ ან რამდენს დახოცავენ ფაბრიკები? ვანა ღირს ერთი არამზადი ამდენი კაცის სისხლათ?

— მაშ რა გქნათ?
ტიმი სდუმდა.
— მე წავალ.

— სად?
— კორნთან. პოლიციაში, ყოველგან. არც-ბოძს ხომ სადმე სამართალი.

— ე, კარგი, თავს ნუ ისულელებ,—დაიძახა ერთმა მუშამ, რუსმა,—არ გვინდა ჩვენ წინებულები და გმირები, თვითონ მოუტრებთ კისერს.

— კარგი პავლე, ნუ აღელებ ხალხს,—უპასუხა ტიმმა,—თქვენ ვერაფერს გახდებით. მე წინებულის გვირგვინი კი არ მენატრება, ვალი მაქვს.

— შენი ვალის წადი შენ... გამოჩნდა ერთი მამაილი თუ იესო-ქრისტე!

— არც მამაილი ვარ და არც იესო ქრისტე, ვარ მხოლოდ I W. W.*) წვერი.

და ტიმი წავიდა.

მთელი ღამის განმავლობაში ვისჯებოდნენ ჩვენ და რასაკვირველია ვერაფერი ვერ გადავწყვიტეთ. ტიმი მართალი იყო: ძალით აბა რას გახდები? მაგრამ ლოდინი, როგორც უსიტყვო მონა, ისეც აუტანელია. მთელი იმედი ტიმზე იყო.

III

თქვენ ხართ ოკერო? გკითხულობთ კორნი. ტიმი უფრო მოიღრუბლა და გავიდა. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა. ბრაზისაგან სულ კანკალებდა.

— რა ჰქენი?
— რატომ არ მოვკალი ის არამზადი შევდივარ... დირექტორის კაბინეტში ზის კორნი და ერთი ვილაკ კიდევ.

— თქვენ ხარ ოკერო?—მეკითხება კორნი.
— მე ვარ.

— თქვენ გინდოდით ჩემი ნახვა, რომ გეტყვათ რაღაც?

— მე.
— მაშ, მე გისმენთ!

— მე მინდოდა თქვენთვის მეთქვა, რომ ახალი სახლი, რომელსაც თქვენ აშენებთ მუშებისათვის, მესამე დღეს დაინერგვა.

— რ... რაო?—დაღრიალა ბებერმა,—მე შენ... რას ამბობ შენ არამზადე?..

— ფრთხილად, მეთქი,—ვეუბნები,—თვითონ კი ვგარანობ, რომ მუშებში მისივდება ბრაზისაგან და ზურგს უკან ვმალავ, რომ სულ-მა არ წამდიოის და მაკრათ არ ვღრუხო.

— აა! შენ ხარ ის კაცი, მუშებს რომ აღელვებს აგტატორი, წითელი? მისტერ ვილაკის დაიხსომეთ და დღესვე მოაზორეთ ქარხანას.

— თქვენ მე ვერ შემაშინებთ. თვითონ წავალ, მაგრამ მთელ ამერიკას გავავებინებ თქვენ ბნულ საქმეებს.

— გაჩუმდი!
— ნუ იბერები, გასკდები!

ბეგრე მწარე ამბავი უთხარი მე მას. კორნს ბრაზისაგან პირზე ღორბლი მოსდიოდა.

— აა რა,—სთქვა მან უკებ,—მე წვლან ავლედი... ვწუხვარ. რამდენს იღებ. გინდა მოვიმართო.

— გინდა სამხის დოლარი მოგცე თვეში?
— სერ,—უპასუხე მე,—ეს სულ არის 50 სენტი მუშის სიცოცხლისთვის. მე ჩემს ამხანაგებს უფრო ძვირად ვაფასებ.

— ოთხასი!
— ამხანაგების სიცოცხლით არ ვვაჭრობ.

და მე წამოვედი, როცა უკან მოგხვდეთ, დავინახე, რომ დირექტორი სულელურად ატყუებდა თავლებს, კორნი კი რაღაცას ჩასჩურჩლებდა უცნობს, რომელიც საშინლის სიტუაციით შემომტყუროდა მე.

— აი, ასეთი საქმე ბიჭებო,—დაამთავრა ტიმმა.

IV

— დაიღუპები შენ,—სთქვა ვილაკამ.
— არ დავიღუპები,—თავის ქნევით სთქვა ტიმმა.

მაგრამ ტიმი დაიღუპა. საღამოთი ჩვენ საცხოვრებელ ბინებს ალყა შემოარტყა პოლიციამ, დაიწყო ჩხრეკა. ოთხი შიკი პირდაპირ გაემართა ტიმის საწოლისკენ და იქვე საიდანაც ამოათრის რაღაც ქაღალდები.

— პროკლამაციები!—ერთხელ დაიძახეს მათ და წავალეს ხელი ტიმს.

— არ გაბრუნოთ მისთვის ხელის მოკიდება,—დაიძახა რუსმა და მეავრდა მათ მუშტებით.

ჩვენც გვინდოდა მიშველება, მაგრამ ტიმმა სთქვა:

— ნუ სულელობთ ბიჭებო, ყველაფერი კარგათ წავა.

ტიმი და რუსი პავლე წაიყვანეს.

შემდეგ ყველაფერი საშინელის სისწრაფით მოხდა.

სადილობის დროს ჩვენ გავიგეთ ტიმის სიკვდილის შესახებ. ის და რუსი მიყვდით დასაკითხავად ცინიდან. მიკრუბულ ქუჩაში. ციხეს დაესხნენ ფაბრიკები, აგაფანტეს ამცველები* და დაერივნ ტყვეებს. რუსმა წააქცია ორი, მესამეს ისე უთავაზა, რომ ყმა საზამთროს დაჟმსგავსა, გადახატა ღობეზე და გაჰქრა.

აღელდა ქარხანა, ამხანაგები, რომლებთანაც მთელი წლის განმავლობაში ვმუშაობდით და რომლებიც დღემდე უჩინარი იყვნენ, დღეს საუკეთესო ავტატორები აღმოჩნდნენ. ერთი მეორეს ცვლიდა ტრინუნჯზე, მოუწოდებდნენ მუშებს შეკავშირებულ ბრძოლისაკენ...

ამ ამბავში რომ ვიყავით, უკემ გაისმა რაღაც ნერგვის ხმა, გრიალი და საშინელი ყვირილი.

— შენობა დაინგრა,—დაიძახა ვილაკამ.

ყველანი ახალ შენობისაკენ გავიქვიეთ. წაიქცა მხოლოდ ერთი ბოძი, მაგრამ მან შუაზე გასტება გამვლელი ავტომობილი და ღოსავით მოთქვიფა ბებერი მელია კორნი.

— ეხ, ბედის წერას სად გაეძცევი,—სთქვა ვილაკამ.

— მე კი მგონია, რომ დავინახე ეს ბედისწერა ნაცრისფერ ხალათში შენობის ზევით და მან გაიცინა ისე, როგორც იცინოდა ის რუსი მუშა პავლე.

*) შემოკლებული—კომპლექს-კლანები, ამერიკელი ფაბრიკები.

*) industrial marker of the world (მსოფლიოს ინდუსტრიალურ მუშათა რეგულირების კავშირი).

მ. ძუჩიშვილი.

მშრომელთა გუბუნი

(თეთრი ლექსი)

ჩვენ მრავალნი ვართ.
 უძლეველნი და უწყველნი.
 ჩვენი ლაშქარი—ლაშქარია ბრწყინვალე შრომის.
 ჩვენ ყველგანა ვართ:
 მიწის გულში: მაღაროებში,
 მის ზედაპირზე: დიდს ქარხნებში, დიდს ფაბრიკებში.
 ცაზე და ზღვაზე,—
 განუზომელ მთელს სამყაროზე.
 უმძიმეს ბორბალს ჩვენ ვანრუნებთ დედამიწისას.
 ჩვენი გაფიცვა მკედარ უღაბნით აქცევს ქვეყანას,
 ვით სასაფლაოს დაყრუბულს მუდმივ ძილქუშით!

* *

სამრეკლო ჩვენი აზიდული ცას ებჯინება.
 ამ სამრეკლოზე დაკიდული ფოლადის ზარი
 გუგუნებს მძლავრად.
 ორხმოვანია გუგუნე მისი:
 ერთია ხსნისა,
 ძლევაშოსილ გამარჯვებისა,
 ხოლო მეორე—დაღუპვისა, დამარცხებისა.
 პირველში ისმის გაყვლეფილთა ხმა აღდგომისა,
 მეორეში კი—გლოვის ზარი მყვლეფელებისა.
 და ეს ორი ხმა, ორი ქვეყნის არსებობისა,
 კიდითი-კიდეს ეფინება ცის გრგვინვასავით.
 ის მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარიატს:
 შეერთებისკენ, ბრძოლისკენ და გამარჯვებისკენ!
 თართიან ღმერთები მიწიერნი, შიშით დამფრთხალნი,
 ციებ-ცხელებით ცახცახებენ ოქროს კერპები.
 ახლოა უამი განკითხვისა, განჩინებისა.

* *

ნაცვლად ჯვარისა სამრეკლოზე ფრიალებს დროშა,
 დროშა გმიროული, დაცხრილული ტყვიის სეტყვაში,
 ბრძოლის აღმურში გამოვლილი, სისხლით ნაკურთხი.
 ხისა როდია ტარი მისი.
 მიათა ძელისაა.
 იმ მამაცთ მმათა, რომელნიც ამ დროშას ემსხვერპლნენ.
 გინდათ გაიგოთ ამ დიდ მსხვერპლთა რაოდენობა?
 შაშ, დაითვალეთ:
 ზღვათა ქვიშა,
 ცათა ფრინველნი,
 ან-და ვარსკვლავნი, მათს თვალებს რომ მოგვაგონებენ.

* *

გვიყვარს მშვიდობა,
 გვიყვარს ზავი.
 აღმშენებლობა.
 მაგრამ თუ ვინმემ არ დაგვინდო და თავს დაგვესხა,—
 არც ჩვენ დაეზოგავთ!
 ორივე ვიცით:

სიძულელიც და,
 სიყვარულიც.
 ორივე მტკიცეა, ორივე ღრმა და,
 ცეცხლიანი.

* *

რეკლიოჟიცია!
 აი ის ძალა,
 ჩვენში რომ გუზგუზებს,
 ვულკანს რომ აჩალებს.
 მას ქვეყნის მეფენი
 პირქვე დაუცია
 და ისვე დაამხოზს
 მსოფლიოს ყაჩაღებს.

* *


იხრწნება, ჩირქდება
 ქვეყანა ძველი,
 როგორც დიდი ხნის
 მძოვრი და ლეში;
 და იწამლება
 არსი ყოველი
 მისი სხეულის
 მყარლ სიღამპლეში.
 მერე ვინ არის მესაფლავე
 ამ სიბინძურის?
 ვინა და,—
 ჩვენა!
 ჩვენ გადავასხავთ ნავთსა და კუბრს,—
 დავწვავთ!
 დავბუგავთ!

* *

ცეცხლი!
 მაშ, ცეცხლი!
 გავაჩალოთ, დავანთოთ ცეცხლი!
 ცეცხლის კოცონში ჩაიფერფლოს
 ქვეყანა ძველი!
 ჩვენ ავაშენებთ:
 ახალსა და ლამაზ ქვეყანას,
 ახალ კულტურით
 და ახალი ყოფაცხოვრებით.
 იგი იქნება:
 შრომისა და ძმობის ქვეყანა,
 სადაც ენთება მზე
 ბრწყინვალე თავისუფლების,
 მზე წინმსვლელობის,
 მზე შეგნების,
 მზე ნეტარების,
 მზე სიყვარულის,
 თანხმობის და,
 თანასწორობის!
 დიდება ამ მზეს!
 ჭაშა მის მოსვლას!

ოჯორისათვის ჰუმანი

ეშმაკის მახე



შინართვა

აი, მახე!
შენც შიგ ჩახე:
თუა, ნახე,
შენი ხახე!

ჰიზნი ეშმაკის მახეს

(მისი განახლებების გამო)

ისევე მოვეყვები ლექსებს,
სახუმროს, რაღაც ხათათ,
თუმცა უნა, ოხუნჯის ლექსო,
ჰლირხარ მთლად „გოსინდატათ“^{*)}.
გამომცემლობა, ვხედავ,
მოეწყობა საათივით,
ფუფქრობ, მქონია გოგრა
გამორტყნილი თივით,
თორემ აქამდის რათ არ
მივხედი ამ საქმეს, რათ არ,
რომ სჯობს ავანსის ლება
ამდენ ხელთ-ნაწერს მხათა?!
მწერლობის წინ წიგნაში
თუნდაც იყავი ძუნწი,
თუ მოდის თავის თავად
„სამოლოდინო ყლუნწი“^{*)}
შენ კი, ოხუნჯო თავო,
სტენე დავთრები რითმით,
ნუ შიშობ, ვერსად წავა
ის შენს კალმის წვერს იქით!
ტყვილად სწერს მანქანებზე,
ქმედზე, ხრახნილზე, ლველზე,
მკვდარს წერტილიდან დამვრა
ჰკიდია ალაღებელზე,
რადგან სდარაჯობს ქორი
დაფოს, გაფრენილს სწრაფად;
მე მცემს ცხოვრების შმორი,
ბევრს რომ წინ უღვდეს ფაფად!
და მინც ისევე მინდა
სიცილი, ისევე ისე,
თუ გზა კი ვაგვე ოდნავ,
წამიღებს სიხალისე...
მაშინ მყოფნის ეს „კუთხეც“^{*)},
რომ ვიქცე ქვეყნის ხათათ,
ო, შენ „ეშმაკის მახეც“^{*)},
ლირხარ მთლად „გოსინდატათ“^{*)}.

ჩვენს თანაგობროგლებს

არ ვიცი რის მიმდურთან
ეს ჩემი თინამშრომლები
ლაპარაკია იმათზე
„ნიანაში“ სწერდენ რომლებიც.
იქნება არიან იმითი
გამწყარლნი, დანალონები
რომ გონორარის სახითა
მაშინ ვერ მივიც ბონები.
ჯერ ერთი, ბონთა სისტემა
მე ხელს მიშლიდა ამაში
მეორეც, მე თვით ვიყავი
გართული ბონთა კ. მაში.
დღეს სხვა, სულ სხვა პირობა
დღეს ჩერვონციის ხანაა,
დღეს წერა ლექსის თუ პროზის
პირდაპირ ზარაფხანაა^{*)}
ამიტომ მინდა დავსწერო
წინწინ „კოლოდოგოვრები“^{**)}
რომ თინამშრომლებს დავუღვა
შინ ჩერვონციების გორები.
„კოლოდოგოვრის“ პირველი
მუხლი ეხება ხელფასებს
სტრუქონზე ორი შაური
ვინც ჩვენთან ლექსს მოათავსებს.
პროზაში ცოტა ნაკლები
ერთი შაურის ღონემდე
მაგრამ გაფრთხილებ მწერალო
სიხარბეს რომ არ ჰმონებდე.
არის პროზის და შაირის
ყვენგან გარჩევა ადვილი,
თუ რომელს მათგანს დავუთმობ
ერთი მეორის ადგილი.
ამიტომ რითმებს ნუ მისდე
უფრო შინაარსს აკურე

ვინ გონორარით გაგაძლიბთ,
შენ კი სიცილით გვაპურე.
თვის ბოლოს ვის რა ერგება
საგონორარო სიაში,
თუ აქვე მას ვერ მიიღებს
დავგზავნით პროვინციაში
ამიტომ თქვენც გვევლებათ
უარს აქ არც გვემართლებით
პირველ წერილით თქვენ-თქვენც
გვაცნობეთ მისამართები.
ჩვენც მოგაწოდებთ ჯერ ქურნალს
შემდეგ ხვედრ ფულსაც ვადაზე
და ფუქრობთ, რომ თქვენც მოვიყვანთ
ამ ხერხით წერის მადაზე.
მხოლოდ გვიფრთხილდით,
სიმართლის არსად გაპბედით ლალატი
თუ არ გსურთ თქვენც ქურნალი
გახდეს თქვენევე ჯალათი.
შემდეგ და შემდეგ მუხლებათ
იქნება წერის წესებო,
გვიგზავნეთ თვეში ორ-ორჯერ
პროზაა ის თუ ლექსები
მაგრამ ჩამოვეყვით ცალ-ცალკე
შენგან დავიწყებ აცტო
მარლათ გაუსვი კალამა
ბულიტ ღონორარ ზა ეტო.
აწცა მივმართავ პე ოზოლს
შემდეგაც რიგში ხ. მელია
კბილ წამოსაკრავ საგნების
ორივე სისხლის მსმელთა.
კუდამელახ და ონავარს
წამოყველოს წაველა
თუ არ იონნეს ენა აქვს
თვითონ სამ-სამი ტკაველა.
ფხუხ, ფინთიხხ, ტურახ, ბუფალოხ,
გარეყულხ, ეუნოხანახა,
თუ კი სახუმროს გვეტყვიან
ჩვევ არ მივაკლებთ ფარასა.

ხიცი.

*) ფულების დამზადებელი ქარხანა.

**) კალექტორი ხელშეკრულება, ანუ პირობა მშრომელს და დაწესებულებას შორის.

*) ავანსი.

მივაწვდით გონორარებს და
 ჟურნალსაც საკითხავად
 აწ მათცა რაც ვეღაღებთ
 იტოდენ თავის თავითა.
 დღეს ნუ ცოტაობთ ამ „კუთხეს“
 და თუ შეგვიბრუნებთ ნისია
 დიდ ჟურნალს გამოგახტუნებთ
 ეს მხოლოდ დასაწყისია.
 კუთხე ოთხ კუთხეს გულისხმობს
 ესეც მიიღეთ სახეში
 და სანიანგო მასალას
 ჩავტყვთ „შემაქის მახეში“.
 მაშე ასე ვუცდი წერილებს
 და ვიზრებები მარტოკა
 თუ მოლოდინმა უსარგომ
 დიდხანს ასე არ გამოთოკა.

ნაწიკი.

გურული — ნიანგს!

რალას იზამ ნიანგ
 კბილები დაგაძვრეს
 და ბუნებრივი ზედ
 კანიც კი აგაძვრეს.
 მხოლოდ მომწეონა
 აფიგია მახე,
 და რა თოკით ხელში
 შენ მჯდომარე გნახე.
 გამიხარდა ძმაო,
 გეფიცები ჩემს კულს,
 და ოზურგეთიდან
 გიხდი მეც ჩემს ძველს ქუდს!
 გილოცავ ერთს ჩიბუბს
 წელსა სიციცხლესა
 ხარკსაც შეგაბრდები:
 სოფლის ნაგავს, თხელსა,
 რომ გაგწმინდა დროზე
 ეფიზო და მართა,
 ვინც რომ მკითხაობა
 ხელახლა ვამართა;
 წატურით ღებულობს:—
 დგდალს ფესს შეუსნის
 —,მართალი თუ კი ვთქვი
 რას მერჩი, მეკუთვინის!
 შეიძლება ვინმე
 მიუყვანს მას წიწილს
 ჯერე გაუშვებს და
 კვლავ დაუწყებს კიჰყინს:—
 ქალო, პატარაა,
 რა მოგყვანია?!
 —,რაო? კვერცხსა სდებს
 ისეთი გვარი აქ!
 შეიღებს გეფიცები,
 მარტის წიწილია,
 გინდა თქვენს ჰკითხე,
 ის შენი შეილია!“
 —,არ ვკითხულობ, მარა
 ცოლდა კი ვარ, კატო!
 ხორცი რა გქნება?
 გაქნათ არ ჰღირს მარტო“!!.

ასე ვაჭრობაში
 გაღის კვირა, წლები,
 ორივეს ვაბაწრულს
 თუ არ გამიწყრები,
 ბავაყით გეგზავნი
 ძმაო, ნიანგ, კულა!
 დღეს ეს იყოფინე
 ხვალ სხვა იყო კუტა!!

უცო!

კინ უმჯავა?!

პროფესიით ვარ პედაგოგი, ამ ხანად უმუ-
 შევარი, ვინაიდან შკოლებში შემოღებულია
 შრომის პრინციპი..

„პრინციპიკი კი საქონელია“-ო, იტყოდა
 ხოლმე ცხონებული ბებია ჩემი. ბებია ჩემის
 ანდერძებს კი მე მტკიცედ ვადგევარ, თუშე
 რეგულირებდაც მოხდა და ძველიც ყოველივე
 უარყოფილი მაქვს, ასე რომ კონტრეფოლიუ-
 ციონერებას მაინც და მაინც ვერავინ შემომ-
 წამებს: ბებიაჩემის ანდერძი დეკრეტით გა-
 თვალისწინებული არ არის არც ჩეკა-ხ გა-
 მოადგება იგი საბუთად.

ჩემს უმუშავრობაში კი არის, თუ გენბავთ
 რამდენიმე კონტრ-რეგულირაციონერობის ჩა-
 ნასახი. მაგრამ უმუშევრობა გათვალისწინე-
 ბულია შრომის კოდექსით, ასე რომ საბრალ-
 მდებლო საწყისად არც ეს გამოდგება.

ვრჩები საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქედ
 და პროფესიით პედაგოგად.

პედაგოგობა რომ სიტყვა „გოგები“-საგან
 წარმოდგებოდეს და ადაპირსაც რომ მარტო
 გოგე ვყოფოდეს, კი დაგემართოსთ, კი
 საქმე ეს იყვის, მოდგი და იგოგე ავირ რუს-
 თაველის პროსპექტზე, რამდენიც გინდა. მე
 შენ გეტყვი და იქ გოგვა-გოგმანი აკრძალუ-
 ლის ჰქონდეს ვისმე. ჰგოგვენ და გოგმანო-
 ბენ არა მარტო უმუშევრები, სამსახურსა და
 თბილ ადგილებზე მყოფთავან, რომელი მოით-
 მენს რომ ორჯერ-სამჯერ არ გამოგოდეს ამ
 საბატო ასპარეზეზე სამუშაო დღის განმავლო-
 ბაში შრომის ინტენსიფიკაციის და წინ წაწევის
 მიზნით.

ღიახ, თბილისიცი იმიტომ ჰქვია ამ ჩვენს
 ქალაქს, რომ ამ გამოგოგებას თბილ ადგი-
 ლებზე მოკალათებულნიც კი არ იშლიან,
 არა თუ ჩემისთანა უმუშევრები.

მიუხედავად ასეთი ბრწყინვალე პერსპექტი-
 ვისა და შესაძლებლობათა, უმუშევრობა
 მაიკ ძნელი ასატანია, თუ გენბავთ, აი, კუ-
 ჰისათვის. შემოგაცვდება ყველაფერი ტანზე,
 თავზე, ფეხზე, ერთი შეხედვით, მდგომარეო-
 ბა თანდათან გიმსუბუქდება, მაგრამ ეს ოხე-
 რი კუჭი მაინც ისე გიმძიმებს საქმეს, რომ,
 სიმსუბუქის ნაცვლად ხელში გრჩება რაღაც
 დამამძიმებელი ატმოსფერა.

ასტრონომიაში ცნობილია, რომ დამძიმე-
 ბული ატმოსფერა საუკეთესო პირობა არის
 სხვადასხვა გონებრივი სამუშაოებისათვის.



წითელ სასაღმლოში:

მოსადილე აფიციანტს:
 თქვენს, მოქალაქე აფიციანტო,
 ჩემთვის სადილი დაგვიგინდათ!

აფიციანტი:
 ასეთი საქმე აქ არის ხშირი!
 ხომ იცით, წვერი ვარ პროფესორის
 და უშვერად თქმას როგორ მიბედავთ?!

მოსადილე:
 მე... მხოლოდ ისე... მშა, ხომ ხედავთ?!

იფ!..

და აი, მეც მოვიწოდებ ჩემი ცოდნის გა-
 მოყენება გონებრივ სამუშაოს მიმართულებით,
 ვინაიდან ფიზიკურ სამუშაოს სრულიად
 მოკლებული ვარ.

ერთი სიტყვით, მოვიწოდებ სახელმძღვანე-
 ლოს შედგენა.

ჩვენს უაღრესად „ძიების ხანაში“ სახელმძ-
 ღვანელოს შედგენა ერთომ იოლი საქმეა, ვი-
 ნაიდან ახლა შემოღებული კომპლექსური
 მეთოდის ცოდნა ამ შემთხვევაში მაინც არა-
 ვისთვის საკლებელი არაა. ადგენენ სახელ-
 მძღვანელოებს... ვინ გინდათ, რომ მათ არ
 ადგენდნენ? რას ჰქარგავენ? სცემს სახელგამი.
 აქ კომპლექსიც თავისთავად დატულია. სა-
 ხელმძღვანელოებში კი ის, ე. ი. კომპლექსი,
 ვისაც უნდა, იმან ეძიოს!.. ამ ძიებაში, თუ
 არა, ერთი წელიწადი ხომ მაინც გავა. მო-
 მავალ წელში სხვა ვინმე შეადგენს ასეთ
 სახელმძღვანელოს.

ძიება ძიებით რჩება. გამოძიების საქმე კი
 ეს სრულიად არ არის. სისხლის სამართლის
 კოდექსში ასეთი გამოძიების შესახებ არაფე-
 რი სწერია.

სულ სხვა იყო ძველად. სახელმძღვანელოს
 ერთი, თუ ორი კაცი ადგენდა, მონაპოლის-
 ტი, თითქმის რაღაც ვაჰარისებური. ვინ
 იყო გამკითხავი? იყო „წიკვი საკითხავი“...
 გო-გე ბა-შვი-ლი-ხა!.. დღეს მოგებაშვიდე-
 ბის დროა!..

მეც ვითქვრე შევადგენ სახელმძღვანელოს
 მოვიკებ რასმე-თქვა!..

ვინაიდან ანბანის აღარაფერი გამოგონება
 აღარ უნდოდა, მე შევუღებე საქმეს პირდა-
 ბირ ანბანის შემდეგ პირველად საკითხავი
 წიგნით.

ავიღე სანიმუშოთ გოგებაშვილის „დედო
 ენა“. გადავშალე პირველი გვერდი:

„ მოდი ვნახოთ ვენახი,
 რამ შეტემა ვენახი?
 მიველ, ვნახე ვენახი,
 თხამ შეტემა ვენახი...“

ბრძულად ღელავენ ფიგნი. მე უნებლიეთ მომიგონდა შემდეგი ანეკდოტი:

ეკლესიაში შეიპარა ქურდი და იწყო ძვირფასი განძეულობის ტომარაში ჩალაგება. ჯერი მიდგა ოქროს ყდიან სახარებაზე. ქურდმა სახარებას ხელი სტაცა, მაგრამ შეშერდა, გადაშალა და თვალი მოჰკრა სწორეთ იმ ადგილს სადაც ეწერა: „არა იპარო“.—„ბევრს ნუ ყმედობ!“ მრისხანეთ წაიბუტბუტა ქურდმა, წიგნი მოკეცა და სასწრაფოდ ტომარაში გადაუხაზა.

ამის შემდეგ, მოდი და მართლაც ენდევ წიგნის სიბრძნეს!

„ მოდი ვნახოთ ვენახი“...

ძალიან კარგი, მაგრამ ვინ სულელი შეაქმნეს ახლა ვენახს თხას?

გლეხი იმდენად გათვითცნობიერებელია ამ ქვიშად, განსაკუთრებით, — კიშის მუშისა, — „ახალი სოფლისა“ და სხვა მსგავს გამოცემებათა შემდეგ, რომ თხას ვენახი შეაქამოს კი არა, მომბრებულ ვაზის ფოთლებსაც არ გინეტებს ისეთი თხისთვის რომელიც შემდეგ მგლის არჩივად უნდა იქცეს.

ყველა ამ მოსაზრებათა შემდეგ დამძინებულ ატმოსფერო კიდევ უფრო მძიმდება ჩემთვის და ეეკათხები თავს: „მაშ, რითი უნდა დავიწყო მე ჩემი სახელმძღვანელო, რა უნდა მოვთავსო მასში „თხისა და ვენახის“ ნაცვლად, რომელი ამბავიც ეხლა ყოველად შეუფარებელია-თქვა“

ვიფიქრო, ვიფიქრო და უტებათ გონება პავლე მოციქულსავით გამომარწყვინა ერთმა თითქმის დღეკანდელი ხანაში მოარულ სენად გადაქცეულმა მოელენამ.

„ვინ შეტემა საზოგადო ფული?“ აი, კითხვა, რომელიც წამომეჭიმა წინ მთელი სიგრძესიგანით, ნაცვლად „ვინ შეტემა ვენახისა“.

შექმნილი მდგომარეობა, ჩემი უმუშევრობა, შიშოლი და მუდამ ჭამაზე ფიქრო, ყველა ეს ბრძანებით მოითხოვდნენ, რომ წიგნის შედგენის საქმე სწორედ შექმნით დაწყებულიყო. მართალია, აფულის შეტემა...“ ასე ამ ფრაზის ხმარა სტილისტიურად რამდენიმეთ უბერბულია, მაგრამ გაფლანგვაც ხომ ბოლოს და ბოლოს იგივე შეტემა. ამავე დროს კი შეტემა უფრო პოპულარული სიტყვაა და მას გამოცემლობაც დიდის სიამოვნებით მიიღებს, როგორც პრაქტიკაში ჩახედული და გამოცდილი.

მაშ, ასე, დავიწყებ წერა და ერთს წუთში მზად მქონდა სათაფრი სტიქონი: „ვინ შეტემა საზოგადო ფული?“

მაგრამ... მაგარი აქ ის დარჩა, თუ რა რიგ უნდა მიგასუხნა დისმულ კითხვაზე ი.ე. რომ აშკარა ბრალდება თავიდან არ მომეხსნა ნამდვილი დამნაშავეისთვის და, შის ნაცვლად თვითონ მე არ მომეხნია იგი თავს. თუ ესტე-

ვი: „ გამგებ შეტემა ფული-თქვა“, ვი ამის შთქმელს! როგორ გინდა, ამის შემდეგ, წიგნი წარუდგინო გამგებს გამოსაცემად?

თუ სიტყვი: „თავმჯდომარემ შეტემა ფული-თქვა“, იგივე უბედურება კიდევ მეტად უფრო აუცილებელია ჩემს თავს.

კარგი დავუშვათ, რომ ესტევი: „მოლოარემ შეტემა ფული-თქვა“. წიგნი მიღებულ იქნა, დაიბეჭდა კიდევ. მერე და როგორ გინდა შემდეგ ხვედარი გონონარის მიღება? აქ ხომ მოლოარე გადამეღობება წინ წენს ფულის მიღების მშვენიერს განზრახვას.

ერთი სიტყვით, გზა ყოველის მხრით მოჭრილია. ისე როგორც იტყვიან ხოლმე: „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი“.

მაგრამ წიგნი უნდა შედგენილ იქნას. უამისობა ყოველად შეუძლებელია.

მაშასადამე, რაიმე გამოსავალი უნდა მოიხსნას.

შეიძლება ითქვას: „ფული შეიკიემა, შეტემა, იგი არც გამგებს, არც მოლოარეს და მით! უფრო, არც თავმჯდომარეს არ შეუქმნია“-ო, მაგრამ ეს ხომ არ იქნება საკადრისი საქციელი. ეს იქნება „დაბალი ღობის გადაჯგუჯა“. ამას არ ვაპატიებებს დღეს გათვითცნობიერებულ საზოგადოება. შეიკრის უსათუოდ გამოეკონაგებთან დაბალი ფენები. ისინი ხელშეიკ არ აიღებენ ასეთ წიგნს, არა თუ იყილიან მას, ვინაიდან მასში სიმართლე იქნება დამახინჯებული და ამრიგად წიგნის ვაგარცელების საქმეს მოელის აუცილებელი „კრახი“

ერთი სიტყვით, გასჭირდა საქმე და მეც ჩემს ძნელი მდგომარეობით დავემსგავსე გიდელში შემეძრალს ძალს.

მაგრამ ისევ პაულე მოციქულის გონებასავით გამომარწყვინდა წინ თვალთა რიდე და ვსწერ: „ფული შეტემა ზავმა“.

და ვიწყებ ზავიდან, ე. ი., დღევანდელ მშვიდობიან აღმშენებლობის ხანიდან, რათა სიტყვა „ზავი“ არც გამგემ იგულისხმოს თავისი თავი, არც მოლოარემ და, მით უფრო, არც თავმჯდომარემ, თორემ, თქვენი მტერია, წიგნი სინათლეს ვერ ეღირსება, ფულის შეტემა, თუ გაფლანგვა ამით არ მოისპობა, სანამ საზოგადოთ ყველა გამფლანგველს, დღევანდელი ზავის ნაცვლად, არ გამოეცხადება, სასტიკი და შეუბრალებელი ბრძოლა, ხოლო მე კი ვნახავ ზარალს და, ზავის ნაცვლად, ვიგემებ ჩემ კუჭთან, სასტიკისა და გამწვავებული ბრძოლის სამწუხარო შედეგებს.


ონისიემე.

გაჭირვების გარათები შაქრო და ლუკა

ლუკას წირილი შაქროსთან.

(წარმოკავშირიდან).

მეო შაქრო, გამარჯობა!
 წერილს გწერ მეტად მძიმეს,
 მხოლოდ მარტო წაიკითხე
 არ ანახო კიდევ ვინმეს...



ორი მოძალაძე ტრამვაის სადგომ ადგილამთან:

პირველი:

ეს ხალხი რომ სდგას აგერ, ცხადია, აღლუმსა მპართავენ და პარლია...!

მეორე:

სალამით ხელს აქ არვის უწყვიდან, მხოლოთ ტრამვაის რონიდან უქციან...

ისევ პირველი:

რონოლს?! მაშ, კიდევ დიდხანს გასტანს ლოდინი, არ გაუშლიათ რისთვის ლოგინი!

...წინეთ თას მანათიანს აუწყებე, შაქრო ყური. „სლოიკებს“ თუ მივირთმევედი, ვინ იკადრა აბა პური. (თოლ შეიღს კაბა, მამას ჩოხა,*) უკაცრავად, არა შევი, ყველაფერი მქონდა ობრად. პრინცად გამომქონდა თავი. მოვაროვე თუ კი იყო, ცოლშვალი, და კიდევ სხვებო, ნათლი-ლუდა მკვიდრი დებოთ. ყველა ჩემი შესახებ განხდ, ძმავო, რომელ თანხით? მართალია, ჯამგარი ძირითადი მქონდა მცირე, მაგრამ საქმეს ისე ვრთავდი რომ სხვა თანხაც შევიწირე... პორთაფელს ვერცხლის მონაგრამ ავასხი და ავაკოტე... სხვისი ფული, ჩემი კამა რა კარგია,—მე არ მოვცდევ... ვიღას ქონდა აწი შიში? კერძო სახის ავანსები—ჯამავიგის ანგარიში და სხვა ხანო კიდევ სხვებო. მაგრამ ბედმა კამათლით გამიგორა „იუზგერა“ და უცაბედ რევიზიამ „ჩვილი“ გული ამიძვერა... ჩემზე თურმე მთლად ითვლება ერთი თანხა თერთ ქალაღღის, ათასიანს ენახიან, ვერცხლის ფულზე უფრო ნლდო. — ვინ მოცვა შენ ამის ნება ამდენი გაიტანეო...!

*) ჯამასხარელიც კი არ ელმარავო.

აბა, ჩქარა ამ სამ დღეში ისევ შემოიტანეო, თორემ სას ხურს დაკარგავ ვერ გიშველის ვერფინ, ოი, და როგორც სჩანს, ის ავანსი გახდა, მგონი, „ატატუნიონი“!.. აღარ შემჩა ოინები, დავიღუპე კაცი უხედავ, ჯავროთ, ძმაო, ისე ვეცდები, რომ ღიმილსაც ვეღარ ვბედავ. სამ დღეში მე რით შევიტან, რაც ერთს თვეში უხვად ვჭამე? რა ვქნა, რა წუხილში ჩავარდე, შენ მიჩაო, შაქრო, რამე!.. ჩაუკვირდი ამას კარგად, ვიწვი ცეცხლსა და ცეცხლს შუა სამსახური დამეკარგა... — თუ ვისწავლე ამით ქუეფი?..

შაქროს პასუხი:

(ცეკავშირიდან)

შენ რომ წიგნი მოგწერა, დამლეგს იყო ავანსისა, ჩემო შაქრო, ვიცი, მგერა, შენ თავს მდგომი შავი დღისა. ცრემლებით და დიდის კენესით წაივითხე მონაწერი, რა ვქნა, ლუკა მასეთ „წესით“ ავანსები მეც მაქვს ბევრი. ისე ყველა კარგად ვცხოვრობთ მოგიკითხა ჩემმა ცოლმა, თეკლემ ტუჩებს გიკოცნით სონიამ და კიდევ ორმა. ამ წერილს ვწერ ნაჩქარევად არ გეწყინოს, ლუკა ძმაო, შემდეგ უფრო ვრცელად მოგწერ, რასაც რომ კი უნდა თქმაო...

შინაური.

უ ა რ ა ლ ა

თუმცა შარადა ბევრნაირია, ჩვენ მიიწვ ვეტრუთით ისეთ-იხეთებს, საღ საშარალო საგანთან სიტყვაეც ბუნებრივ კავშირს თვითონ იკეთებს. ამაზე აქ მეტს ენას არ ვიცდენ და მაგალითებს თქვენც ნახათ ქვევით, თუ ჩვენი აღთქმის შესრულებაში ჩვენ რაოდენად სწორად ვიქცევით. ახლა კი მივყვით საგნების პოვნას და დალაგებას ისე მოხდენით, რომ, ჩვენ რომ ჩვენს ხაზს პირნათლად ვიცავთ, ეს თვით თქვენ ბრძანებთ ლამაზი ჩნით!..

პროლეტარული საქმის აკვანი ნახეთ ქალაქი, ეგროპოული, სამი თანასწორ მარცვლის მპრობელის ჩვენ აქ გეპირდება მარტოკა გული, ორი მარცვლი იქით და აქეთ მოკვეთეთ, როგორც რამ უვარგისი,

და მოსპეთ, როგორც თავი და ფეხი, უსარგებლო და არის მაქნისი! ეს საქმე არის რევოლუციის, მაგრამ იქამდე ვერ იცდის გული, რადგან აქ საქმე თავის და ფეხის იმ თავით უყვე არს წაგებულო!..

ახლა ცხვირს ჩარგავთ ისტორიაში და ნახათ აქვე იმ პიროვნებას, ვინც პროლეტარულ იმ დიდ საქმეს თვით აყენებდა პირადით ენებას! გენერალია ეს პიროვნება და, ვით ჯალათი, ეგზომ დიდია, რომ დღესაც ჩვენში, ვით საფთხოზობელა, იგი ფეხებზეც ბევრსა ჰქილია!..

ესეც სიტყვა სამმარცვლოვანი, მხოლოდ იმისი თავიც და გულიც ეშმაკმა ზიდოს ჯოჯოხეთამდე: ცოდვილიც არის, წყალ-წაღებულოც!.. ბოლოს კი ფეხი ჩვენც დაეპიროთ, ვით იმოქმედა ეს ისტორიამ, და პირველ საგნის ნაშთს შივაშენით: ახლა იქ მარცვლად უყვე როია!

მესაზე მარცვლის ძებნას შეეუდგეთ და ისტორია კვლავც მოვიშველოთ: აღმოსავლეთით გადმოვდგათ ფეხი და ერთი კაციც დავასახელოთ, ვისაც კავშირი აქვს იმ ხანასთან და არის მთელი იმ ხალხის მტერი: ცოდნით, გონებით და ვერაგობით დიდი და ნებით რკინის მიერი!


„რკინის კაცისაც“ ჰქონდა სახელი და სახელმწიფოც ექიბა ხელში. და არა ერთი სხვა სახელმწიფო თვის მაცდურობისა გააბა ქსელში.. მან, ლაპარაკი რომ გეჭმინდა ზევით, მთელი იმ ქვეყნის მიფე და ჯარი ისეთ ხაფანგში გამოიმწყვდია, რომ გასაღელი არ დარჩა კარი!..

მერე მოზიდა ოქროს ზოდები და თვისი ერა გააძლიერა... თუმცა შემდეგში ეს „დროინაშოვნი“ ისევე დროებამ გააბიალა!

ნახეთ ეს რკინის კაცი, „თავადი“ და თავი ისევე ჩამოაშორეთ, რომ ზევით მარცვალთ წყობის „პრაქტიკა“ ამ შემთხვევაშიც გაიმეორეთ, ისე რომ სხვებს ის არა სჭარბობდეს შემადგენელი ასო და ხმებით, და რომ მივაწყობთ ამ მარცვალს იმ ორს, შარადაც მზათ გვაქვს, დამეთანხმებით!..

თუმცა თავ-ფეხის წაცლა, სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა, ისევე გრძელდება: ხულ ახალ-ახალ სახეს ღებულობს და მარკვით, აბა, ვით დამწველდება?! მაგრამ შარადის საგანთ შეხედეთ: არა რჩებიან მოხედურეგებს ვალში.. და არა ერთ „შავს დღეს“ აყენებენ, ვინაც ის ბრძოლის გახვია ცეცხლში და სიტყვაც სწორედ მოდის სახელი უმაგალითო იმ გემირი ხალხის, კინაც დღეს სასტოკ დენის ქვეშ არის და უნებლიეთ ჩამცქელიც თალხის!..

ონიხამე.



მიწვარით ვიწვი ძებნისა გავიწვლ ავანს-ხეხისა!..

ეს მოქალაქე ამ მოქალაქეთ რადგან სთხოვს ფულებს მუდამ პირ აქეთ, მისახვედრათაც არ არის ძნელი, თუ სულ გავწვდილი რად არის ხელი!.. — თქვენა გვინათ, ამ ხელით „ეჩო მითლის თვისევენ მუღამ“, ვით ჩერა?!. არა, ჩვენ გვხვდებით ასეთ სეანსებს,*) ეწიწებიან როცა ავანსებს!..

ც.ც.

„თხის უარი გუშტაქი“

ცოლმა პროტესტის ნიშნათ დასტოვა სახლი და ქმრის ერთ ერთ მეგობარს ჩაუსახლდა. ასეთ სენსაციას მთელ ეზოში არავინ მოელოდა.

დავითი კი პაპიროსით პირში ენერგულათ ბოლთასა სცემდა.

წავიდა... დავითი კი პაპიროსს პაპიროსზე ჰქაჩავდა და გულში შობავლის იმედს აძლიერებდა... მორჩა. უცლოლოთ დარჩა სახელგანთქმული პოეტია... გაფრინდა ვითა სინზარი ლამისა...

დავითს გაახსენდა ყველაფერი.

ცოლს ფულები უნდოდა, იგი ყველაზე უწინ „Journal des modes“-ს ათვლიერებდა. მის ცენტრებით სეირნობა ჰსურდა. საღამოებზე საუკეთესო სფერასთან უნდა მჯდარიყო და პაპიროსთან თავებს მისი ხელეები მოწიწებით უწვდა ეკოცნათ.

— ფული!—აბა დავით, ეს უკვე შენი საქმეია!

— გაახსენდა მის ყველაფერი...

მან პირველათ მიაწერა „პოლიტიკური პლატფორმის“—დეკლარაციას ხელი, მან ყველაზე თავგამოდებით დაიწყო „მეშარცხენე ფრონტზე მუშაობა“. აქ „პროლეტარს“ ეტაკა, იქ ფუტურისტები შეანჯღრია. სახელგამში შევარდა, მთავლიტიდან გამოვარდა. საღამოს 4 საათამდე საეჭვით დაორსულებულ პირაფელს, ბებიას მოსაკითხივით დაათრევდა.

იცით საქმე რაშია?—(რადღი ალარაა საქმე)—საქმე იმაშია, რომ დავითი ერთი სულს ჩამდგმელი და დამარსებელთაგანი იყო პოეტების ორდენის „თხისფერი ბუშტების“.

*) და არა სენსაციებს (იშვითი სოციალი მოვლენებს) აეტორა

იყვირეს, სწერს, ბერეს ეს ბუშტები, ალა-
შალღეს ერთი, მეორე, მიტოვებ იმედი, გავბე-
რაი: ღიპები, ჩაიცვეს თბილით, ჩაჯდენ ცოლ-
შვილში, ვისაც კიდევ შერჩა, უხაროდათ ბავ-
შეების ნახვა (თუ საკუთარი იყო), და დაავი-
წყდათ პოეზია და მასთან დეკავშირებული
წერილმანები.

ეხლაც ხშირათ ხედებიან ამ ორდენის წევ-
რები ერთი მეორეს. მისაღმება, თბილი საუ-
ბარი, ურთიერთ ნიჭის კიდევ ერთი შექება
და სხვების ორიოდ სიტყვით მოხსენება.

დღეს-კი, დღეს აღარაგინ შეხვდა დავითს.
აგერ პროსპექტზე ჯგუფ-ჯგუფად დამდგარან
ახალგაზრდები... ასე გვეგონება, ყველანი კო-
მისაიები არიანო.

ჰმ.—რა ბარი არ გავიგლის კაცს ამ გენიო-
სურ თავში...

დავითი ეხლა საზოგადოებრივი ტიპია. ჯან-
მართლი, როგორც კეტი, მაგარი, ვით მთხოფ-
რის ჯობი, საზოგადოთ ყველგან მეტი (ხმა
კი აქვს (ოტა ბოხი) და თავში ყველაფერი
რიგზე აქვს დაწყობილი. ბოლდერი, ვერლენი,
შოთა, ვეჯა, სოლოვიოვი, როზანოვი, ზურგიე-
ლიძე, არკადი ნადკინი... ერთი სიტყვით მას-
ზე ზედ გამოჭრილი იქნებოდა შემდეგი ანდა-
ხა, რომ ასეთი არსებობდეს: „მისკენ ვარ,
იმას შევადგებ, ვინც მომცემს თბილ ადგილსაო“.

ერთხელ „თხისფერი ბუშტების“ ორდენის
წევრებს თავი მოეყარათ, რომ გამოემუშავე-
ბით „ხუშტურისტებთან“ და სხვა ჯგუფებ-
თან ბრძოლის გეგმა და დაედოთ ურთიერთ-
შორის ძმობის საგარანტიო ხელშეკრულება.

საჭირო იყო (ასე ლამაზი შენებოა) ეს მთ-
თი თავმოყრა ყოველიყო ისე, როგორც con-
ference des Vagabonds. ეს წმინდა პოეტური
ექსტაიო, ირწმუნებოდა ერთი პარიზში ნამ-
ყოფი. თვითველი აზრის გამოთქმის შემდეგ,
თითოს ჩამოიძინებდნენ სკამებზე და ბოლოს
ღამილდა ერთი მათგანი და ღალად ჰყო:
დავარქვით კონფერენციას ამას სახელი იგი
პერმანენტული“. და რქვეს მას „თხისფერი
ბუშტების ორდენის პერმანენტული კონფე-
რენცია“. იმ დღიდან ამ დღემდე (დაამოწ-
მებს იმას ოუსტინე აბულაძეც) არაფერი ამ-
დაგვარი არ ყოფილა ჩვენს პატარა საქარ-
თველოში.

გავიდა ხანი. დღე დღეს სცვლიდა და თვე
თვეს. პოეზიაზე დარდი და ფიქრით ერთი
ახალგაზრდა ფურტურისტო, გოგირდმევათი
აყროლებული, სრულიათ გათეთრდა... ეს კი-
დეც არაფერი. მეღიტიონ ბალანჩივამდე „თა-
შარ ცხიერი“ თითქმის დაასრულა და სამე-
გრელომ თვითგამორკვევა მოახდინა და მიშა
დადიანი „გამოარკვია“. დაუბერებელ ზაქა-
რია ჭიჭინაძესაც კი დაეტყო მოხუცებულობა,
მაგრამ „თხისფერი“ ხალხის მიერ დაწყობილი,
მოკითხვის წერილს გარდა, არავის არაფერი
უნახავს. გაქრენ და აღარ არიან...

მადლიერმა ხალხმა მათ მოსაგონრათ ლექ-
სიც კი გამოსთქვა, რომელსაც აქვე მოვიყვანთ,
როგორც ხალხის ზეპირისტყვაობის ნიმუშს,

შხოლოთ ერთის პირობით: რომ ამ ლექსს არ
შეიტანენ „ზეპირისტყვაობის კრებულში“,
რომლის გამოცემაც ბაკვი წერეთლის გარდა-
ცვალების დღიდან ირის დაწყებული და რომ-
ლისთვისაც ცალკე ფონდიც კი დააბრეს.

ეს ლექსი ჩაწერილია ერთ მუშურ-გლეხურ
საზოგადოებაში.

„ბიჭო ვისი ხარ მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო,
თუ „გოსიზდატი“ შემოხვალ,
„ავიანებს“ აღენ წვენსაო...

ერთი იკვებს: „ბიჭო მე ვარ,
ვერღენ იტყვის ჩემზე ავსო,
ჩემზე კარგი მთელ ქალაქში,
კაცს ვერავინ „შეგირავსო“...

მეორემ სთქვა: „უცხო პირმა“
სუფრა უნდა გავვიწყოსო,
სიტყვას ვიტყვი ისე რიხით,
ცამ ქუზილი დაიწყოსო.

მესამემ სთქვა: „ბატკავაში
წასვლა ჩემი წესიაო,
ვირები თუ პატრის მცემენ,
მე ვარ მათი მესიაო“.


მეოთხემ სთქვა: „ამას, იმის
სკრუპულოზობით ავწონიო,
ამიხსენია ამ ჩემს თავში
ტვინია, თუ მაწონიო“...

ლექსის ბოლოში გამოთქმული იყო ქება
ლექსის გამორბისა და ასე თავდებოდა:
„აქაც კარგი ხალხნი იყვნენ,
იქ ნათელი დაადგეთო“ და სხ...

რა ხმაა ეს.—ვინ გალობს... სულთათანა...
ეშ, საწყალი დავით.—ცოლმა მიატოვა, ბავ-
შეი მისი არაა, ფული მას არა აქვს, ვილაცხ
კი სულთათანას გალობს. ეს ნამდვილათ და-
ვითს უგალობენ. მოკვდა დავითი. კი, მოკვდა-
მხალას სახელი, წველებავ, მოხერხებავ. აფ-
სუს, კვანტებო, კვარტებო, რა ფუჭათ ჩაი-
რეთ.—

— სიკვდილი მიჩვენია ეხლა. რა ტკბილი
ხარ სიკვდილო, რა გემრიელი... მაგრამ ცო-
ლი... ო.—ოჸ... რათ... რათ... რათ მილა-
ლატი, შე დიაცო, შე ბუღრის ყუთო... უუუუ...
და დავითმა მუშტი იღო მაგიდაზე დასარ-
ტყამათ... სუსტ არსებას გაეღვიძა დავითის
გვერდით.

— „რა ამბავია, დათიკ.—რას მერჩი, რომ
ძილსაც აღარ მანებებ“... უსაყვედურა ცოლმა
დავითს. დავითს შერცხვა, რადგანაც მას ეხ-
ლა გაეღვიძა, რაღაც წაიღულულა და მეო-
რე ვეგრდზე ვადაბრუნდა.



საზღვარაზრათელი დედაბავიანი ჩხვენი.

დედეგაცია.. დედეგაცია.. დედეგაცია..
ყველა ჯანსაღი, ჩანასკეული, კარგათ აცვია,
მიაბიჯებენ ჩვენს ქუჩებში, როგორც გრაფები,
და უცბათ ირგვლივ—კორესპონდენტ-ფოტო-
გრაფები!..
ის მის ჩიკინი: ფანჯრის, კალმის, ფოტო-
მანქანის,
აჩარის ბიჯის წინსაღმელი, არცა ვხა განის
ფიქსი..

აი, რა!?

- გოგოვ, ნუ გადამრევ კაცს,
ჩუმ ჩაირა ჩაირა,
მოგინგრევ მეგ „პირისკაცს“!..
აი, რა?!
- რა? რის? რას? რამ? რით? რად? რიგ?
ჩუმ ჩაირა-ჩაირა.
თვალებს ამოვიკაწრავ!
აი, რა?!
- კოტე კეკეს ნახულობს,
ჩუმ-ჩაირა-ჩაირა.
თუმც, ვით კატა, მარბულობს,
აი, რა?!
- კეკე ტუჩებს „კერასკაცს“!..
ჩუმ ჩაირა-ჩაირა...
- კოტე ჰვიქრობს: „ეს რას ჰგავს“!
აი, რა?!
- კოტე უმზერს საღიბავს,
ჩუმ-ჩაირა-ჩაირა.
- კეკე ჰკითხავს: „რა გენბავს“?
აი, რა?!
- კოტე კეკეს აცილებს,
ჩუმ ჩაირა ჩაირა.
- სიყვარულის ბაცილებს,
აი, რა?!
- კეკე კოტეს დაყვება,
ჩუმ ჩაირა-ჩაირა.
- ღამით დიდხანს არ წვიბა,
აი, რა?!
- ველარც კოტე იძინებს,
ჩუმ-ჩაირა-ჩაირა.
- სულ კეკეს ჩასჩიხინებს,
აი, რა?!
- კოტემ კეკე ატარა,
ჩუმ-ჩაირა-ჩაირა.
- ასე გაჩნდა პატარა,
აი, რა!..

Diton.

კონია

გამონათქვამი გუშათი წერილები

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნავს მუშა კორესპონდენტების გადაჭარბებული მადა და გაზრდილი პრეტენზიები, მაგრამ ჩვენს შენიშვნებს, რაღაც მოსაზრებით, არავითარ ანგარიშს არ უწყევს ეგრედ წოდებული სანიტარული კომისია.

ჩვენ მანც ჩვენსას განვადგომთ და იფნის სახრით ვერცხვით ვალაღებულ, დიდგულა მუშა კორესპონდენტებს.

აი, მართლაც დიდგულა არ მოგვხდა ავტორული

იგი ასე სწერს ს. წყნეთიდან, შეიძლება კოჯრდიანაც (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 178):

„ს. წყნეთში კოჯრის კოოპერატივის განყოფილების გამგე მიწა ხარაბიძე, ყოფილი მილიციის უფროსი, დაჩვეული ქრთამებს, კოოპერატივის ვერ გამოადგება“.

სწერს კაცი ასეთ შეუსაბამობას და შემდეგ არხეინად აწერს ქვეშ დიდგულა.

გნებდა, რომ მართლაც დიდგულა ბრძანებულხარ და კტუა კი... (მეშინია არ წამცდეს).

თქვე მამაცხონებულა, კოოპერატივის შესახებ სწერთ და იოტის ოდენი წარმოადგენა კი არა გქონიათ ჩვენს კოოპერატივებზე.

ყოფილი მილიციის უფროსი, ქრთამებს დაჩვეული კოოპერატივის გამგეთ ვერ გაშოდგებაო—სწერთ.

პირ იქით!

თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ დღევადელს კოოპერატივის მუშტარი, სხვა და სხვა მოსაზრებებით რასაკვირველია, სათაფრზეც კი არ ეყარება, თქვენი კოოპერატივის გამგე პირდაპირ სულზე მისწრება ყოფილა, მით უფრო, თუ ის ქრთამებსაც არის დაჩვეული. სწორედ ასეთი კაცი ესაპირობა დღეს კოოპერატივის ფეჭრი იმის, რომ აქ მორატომოქმედებას ექნება რაიმე ადგილი გამგის მიერ ქრთამების აღების სახით, სრულიად უადგილოა. თვითონ ის კი იქნება იძულებული ქრთამი აძლიოს მუშტარებს, რათა ისინი კოოპერატივში მიიღვიოს. მეტრე აქ რა არის ცული. ჩვენ აქ ორ ძურდღელს ერთად ვიჭერთ.

ერთი, მექრთამე მაგალითებით დარწმუნდება იმაში, თუ რა სამიმო საქმეა ქრთამის გაცემა და თავის ცუდს ყოფაქცევას სამუდამოთ მოიშლის.

ხოლო მეორე ის, რომ კოოპერატივის მუშტარი მოემატება.

გულბატაა.

ავტორ კიდევ კოოპერატივის თანამშრომელი იარალოვი.

აი, რას სწერს ინფორმატორი „შან-მანი“ ამ იარალოვის შესახებ გაზ. „კომუნისტის“ № 178-ში:

ასეთ თავხედს მოკრულვება სჭირია.

(ქ. თფილისის მილიციის უფროსის საყუარადღებოთ).

„ზაპისის“ პირველ უბანში არსებობს პატარა ბაზარი, სადას მუშას შეუძლიან სურვილისამებრ იზოგოს რაიმე საწოვადე ამ უდაბნოში. ზოგიერთ სოფლიდან რომელიც ოც, ოცდი-ხუთ ვერსზე მდებარეობს, დარიბ ხელმოკლე გლეხებს თვებით მოაქვთ თაიანთი ნაოფლარი, რომ ამ ფულით შეიძინონ პირველი მოთხოვნილების საგნები: პური, ნაეთი, ასანთი, საპონი და სხვა. რამდენათ მეტნი მოვლენ სოფლებიდან გამყიდველები, მიდნეთ მუშას საშუალება ეძლევა იაფად შეიძინოს საწოვადე, ზოგიერთებს ეს არ ესმით და ცემით და დამუქრებით აფრთხობენ გამყიდველებს.

ვილაც მეორე უბნის კოოპერატივის თანამშრომელი იარალოვი წინ ელობება ამას და აფრთხობს მათ.

უნდა მოარჯულოთ ეს გაბოროტებული ადამიანი.

ინფ. „შან-მანი“.

ვინა იარალოვი?!

აი, თქვენი მართლაც „შან-მანი“ და ტან-შანაც, თუ გნებავთ. ვაზნაშიც რომ კიდევ სწერთ, განა ის კი არ გველოებათ იცოდეთ, რომ დღეს „პირი სოფლებიდან“ წარმოადგენს ჩვენს ჩვენს უდიდეს ლაზუნგს?

იარალოვი კი არა, თქვენა ხართ მოსარჯულზელი, თორემ ამ პატივცემულ ვაქს... (ფუი ეშმაქს! იქნებ იარალოვი ქალია და მე კი ვაქად ვიხსენიებ, ის არა სჯობდა, რომ თქვენს კორესპონდენტთან არ აღვნიშნავთ ქალია ის თუ ვაქი, რომ მე აქ უნებელი შეცდომაში არ შევიდოქ?) ჰო იმას მოგახსენებდი იარალოვს პირი მართლაც სოფლისკენ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი „ზაპისის“ უბანში სავაჭროთ მოსულ გლეხებს ვერ ვაფრთხობს უკანვე სოფლისკენ.

გლეხებს პირი უქცევით სოფლისათვის და საპატრიო ადგილისაკენ ზურგი მიუშვრიათ და „ზაპისის“ უბანშიც კი გაუბედვით მისვლა იქ, სადაც პატივცემული იარალოვია თავის საგუშავოზე ფხიზლათ. ამისთვის გლეხებს მართლაც ხედებით არა თუ ვაფრთხობა. მე ვიტყვი უფრო მეტს, მაგრამ ამ შემთხვევაში იარალოვს ვერადგები.

თქვენ კი, ამხ. ინფორმატორი, რა ამბავია, რომ პირი ქალაქისაკენ დაგვიკავებით და ისიც ასეთი კორესპონდენტით იარალოვზე. მეტი პატივისცემა თავისი საქმისადმი სიერთეულისათვის იარალოვს. იარალოვში რომ არ იყვნენ, მაშინ თქვენ კორესპონდენტებშიც აღარ იქნებოდა საქირო. ესეც უნდა მიიღოთ მხედველობაში.

მან-მანი.

ეს ცოტაა. აი რას იწყებთ კორესპონდენტი ადამიანი. შენუთიდან (გურია):

„აქ ამას წინად ცხენით გამოიარა ლანჩუ-თის ექიმმა რადინმა. მას სთხოვეს გაცხინა იქვე გზის პირად მოსახლე მძიმე ავადმყოფი. ექიმმა შემოკრა ცხენს მათარაზი და ცხენი ელვის სისწრაფით გააქანა ლანჩუთისაკენო“. და აი, ასეთ ექიმს ამხ. ალალი უწოდებს გულცივს. ფაქტი კი, პირიქით, აღნიშნავს იმას, რომ ექიმი გულმხურვალე და ცხარე ყოფილა, რის ცხენისათვის გრძობინება მას არ დაუყოვნებია.

(იხ. გაზ. „კომუნისტი“-ს № 229, 1934).

იქვე კორ. ახ. გაბედული სწერს ს. ფარცხა-ნავანევიდან (ქუთათისის მარა):

„ამ გებერთელა თემში ქოხ-სამკითხველო ღარიბი გვაქვს წიგნებითო. ამას წინად გავმართეთ საღამო და შემოგვივიდა ასი მანეთი, მაგრამ ფული უძრავათ ძვესო“.

თქვე მამაცხონებულა, მარსხე ზომ არ ცხობრობთ? თუ ფული კი ძეგს და იგი არავის გაუტაცნია და გაუფლანგავს ჯერ, თქვენ კიდევ ბედს ემდურათ? მაშ, იმათ რა ჰქნან, ვისაც დაწესებულებებში ხშირად ათასობით უფლანგვენ კაპეიკობით მოკროვილ თანხებს?

თუ გაბედულება არ გაკლიათ, მიმართეთ პროკურატურის წარმომადგენელს თხოვით, რათა სამართალში მისცეს სამკითხველს გამგე ფულის ამდენანს გაუნაივებლათ გაჩერებისათვის. თუ ნესტიან ადგილს არის, ობი მოეიდება კიდევ. მაგრამ გასინჯეთ, ვინ იცის იქნება უკვე არც კი ძვესო“.

ქვეით, ისევ იქვე კორ. მალ-მა სწერს თერჯოლიდან (შირაპნის მარა):

„ჩვენს სოფელში „ექნობა“ და „ღვთის-მშობლობა“ ისეთის წინასწარის სამზადისით და ქეთ-მეგლისებით ჩატარეს წელს, რომ ჯერ მსგავსი არაფერი უნახავს თერჯოლელ გლეხებსო. აქ რომ ფული დიხარჯა წელს, იმ თანხით ორ-სართულიანი სახლი აშენდებოდა სოფლისთვისო“.

არ ვიცი თქვენ რა გაუწხებთ? თუ თქვენი ვალია სოფლის ინტერესებზე წერა, მაშინ ჩხარის მილიციის ქება იმის გამო, რომ თემშიამ უხეზურათ ჩაიარა, სრულიად უადგილოა, რადგან რაღაც ვარგა ისეთი სოფლური ქეიფი, რომელიც ჩხუბით აღკრვით არ დათავდება? მეორეც, როგორც თქვენ წერილის კილოზე გეტყობთ, თქვენ არჩევდით ამ დაბარჯულ ფულით ორ-სართულიანი სასოფლო სახლის აგებას, ვიდრე იმ თანხის ქეიფში ისე ტყუილ-უბრალოთ და გაუხმინებლათ ჩაფლანგვას. იმავე დროს კი გაეწყდებოთ თქვენი ვალი და უხეზურათ ილაშქრებთ სწორედ სოფის ინტერესების წინააღმდეგ. ვინაიდან რომ ისეთი შენობა მართლაც აეგო სოფელს და ფული კი ქეთ-ლოთობაში არ გაეფლანგა, ხომ მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ორ-სართულიანი შენობიდან ვინე ჩამოვარდნილიყო და კტუა კრძოქ? ასეთი შემთხვევები ხშირია ცხოვრებაში.